გაზეთი ზოგისთვის, „ვერსია“ ყველასთვის

# ვერსია

№102 (858) 4 - 6 ოქტომბერი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## მხოლოდ 40 თეთრი



## ზვიად ძიძიგური დუმილს არღვევს და ბრალდებებს პასუხობს

„ვინ დაიჯერებს, რომ რუსთავში ყველა ბიზნესის წილში ვზივარ ან ქრთამს ვიღებ და ცაბახმელაში სახლებს მიშენებენ?“

გვ. 4

## ირაკლი შიხიაშვილი: „გიგი უგულავა ნაცმოძრაობის მერია და არა თბილისის“



გვ. 2

## შსს-მ საერთაშორისო დონის კიბერდანაშაული გახსნა




გვ. 3

ვინ რა მიზნით დაუკვეთა ყირგიზეთის მოქალაქე სამარ ჩოკუტაევს „ჯიჰადის ვიდეოს“ მომზადება

„ნაფიცი მსაჯულები სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის შიშის ქვეშ აღმოჩნდნენ — ასეთი რამ არ მომხდარა არც საქართველოში და არც დედამიწის ზურგზე, არც ერთ სასამართლოში!“

ადუაშვილის მკვლელობის სასამართლო განხილვა და ნაფიცი მსაჯულების ვერდიქტი

გვ. 7

## გლეხებისგან იაფად შეძენილ ყურძენს დილერები ქარხნებს ძვირად აბარებენ?!



ლევან დავითაშვილი

„ყურძნის ჩასაბარებლად გლეხს შუამავალი არ სჭირდება!“

გვ. 9



გვ. 5

„ვერსიის“ დოსიე

## შალვას გასაქირი

## ნაციონალური ნაღმები მეტროს გვირაბებში



გვ. 10

როგორ აქცია უგულავამ მეტროპოლიტენი სახიფათო ტრანსპორტად და რომელი ობიექტების გაყიდვას აპირებს მერია

## რომელი პარტიები დააჯარიმა აუდიტის სამსახურმა და რამდენი ათასი ლარის გადახდა მოუწევს ნინო ბურჯანაძეს

გვ. 6



## „თუ ბიძინა ივანიშვილმა ხალხს იმედი გაუცრუა, ხალხი აუცილებლად აფეთქდება“

რაში არ ეთანხმება პრემიერს და რა კითხვები აქვს აღასანია-უსუფაშვილთან ნათელა მაჭავარიანს

გვ. 8

# ირაკლი შიხიაშვილი: „გიგი უგულავა ნაცმოძრაობის მერია და არა თბილისის“



თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილმა თბილისის მერი, გიგი უგულავა სატელევიზიო დებატებში გამოიწვია, რასაც უგულავამ თავი აარიდა. ირაკლი შიხიაშვილი ავრცელებს საგანგებო განცხადებას და საუბრობს იმ თემებზე, რომლებთან დაკავშირებითაც სურდა პირდაპირ ეთერში კითხვები უგულავასთვის დაესვა, რათა მოსახლეობისთვის, როგორც თვითონ ამბობს, კიდევ ერთხელ დაენახვებინა უგულავას ნამდვილი სახე.

„თბილისში 8000–მდე ამხანაგობა არსებობს და წლების განმავლობაში (2006–2013) რამდენიმე ათეული მილიონი ლარი (თითქმის 100 მილიონი) იქნა გამოყოფილი მათ დასაფინანსებლად. ფინანსდებოდა ამხანაგობების თავმჯდომარეების ხელფასები და სხვადასხვა პროგრამები (ლიფტების შეკეთება, სახურავები და სხვა). ასევე ფინანსდებოდა ყოველწლიურად მათი ქალაქგარეთ სემინარებზე გაყვანა და კონკრეტულად ეს ღონისძიება საკმაოდ ძვირი უჯდებოდა ბიუჯეტს (მგზავრობა, სასტუმრო, სუფრები და სხვა). მივყვეთ თითოეულ მიმართულებას: – 8000 თავმჯდომარიდან დაფინანსებას მუდმივად იღებდა ყოველკვარტლურად 4000, მეორე მხრივ, არის 4000 თავმჯდომარე, რომელსაც არასოდეს მიუღია დაფინანსება. საქმე მარტივადაა – ვინც ხელფასს იღებდა, იყო მისაღები ხალხი, ხოლო ვინც არ იღებდა, მათ განწყობა არ მოსწონდათ.

შესაძლოა გაჩნდეს კითხვა – რატომ ვერ ცვლიდნენ არასასურველ ადამიანებს? ამაზე მოგახსენებთ, რომ თავმჯდომარეს ირჩევს კორპუსის მოსახლეობა და ყველგან ვერ ხერხდებოდა სასურველი კანდიდატების გაყვანა.

4000 თავმჯდომარე, რომელიც ხელფასს იღებდა, ასევე ორად იყოფა. ნახევარი (2000) მუდმივად იღებდა ხელფასს (ყოველკვარტლურ წახალისებას) და მეორე ნახევარი ჭადრაკულად ანუ მონაცვლეობით.

ვინ იყო ეს ხალხი და რატომ იყო ასეთი მიდგომა? ვინც მუდმივად იღებდა ხელფასს, იყო პარტიული აქტივი ანუ ხალხი, რომელიც ხელფასს პარალელურად იღებდა დასუფთავების საწარმოში და თბილისის განვითარების ფონდში, ასევე სხვადასხვა წყაროდან მათ ჰქონდათ სხვადასხვა სახის სიკეთეები, რომლებზეც ახლა ვმუშაობთ და ვადგენთ. დანარჩენი 2000 თავმჯდომარე იყო კეთილგანწყობილი ხალხი, რომელსაც ასევე პერიოდულად ეძლეოდა ხელფასი. ჯამში, ხელფასის სახით გაცემული თანხები წლების განმავლობაში ათობით მილიონია. ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ არ არსებობს რაიმე კონკრეტული წესი, თუ რა პრინციპით უნდა მომხდარიყო წასახალისებელი თავმჯდომარეების შერჩევა (თუ რამე წესს დადებენ, იქნება უკანასკნელ პერიოდში გაკეთებული, ან გაყალბებული), ეს ყველაფერი ხდებოდა სუბიექტური მოსაზრებებით.

ჟურნალისტები ხშირად მისვამენ კითხვას – თქვენ ხომ ფრაქციის წევრი იყავით და ამას ადრე ვერ ხედავდითო?

ბევრ რამეზე არ მქონდა ინფორმაცია. ეს ყველაფერი საკმაოდ შენიღბულად კეთდებოდა, ეჭვებით ვერ ისაუბრებდი, საჯარო განცხადებები შედეგის მომტანი არ იქნებოდა. უფრო მეტიც, ძალიან ბევრი ადამიანი სერიოზული რეპრესიების მსხვერპლი გახდებოდა.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, იცოდნენ თუ არა ამ ადამიანებმა (ამხანაგობების თავმჯდომარეებმა), რით იყვნენ დაკავებულები. ძალიან ბევრი ამხანაგობის თავმჯდომარესთან მქონდა საუბარი, ისეთებთანაც, ვინც პრივილეგირებული იყო და ისეთებთანაც, ვინც იჩაგრებოდა. დღეს ისინი გულახდილად საუბრობენ და არანაირი შიშის გრძნობა აღარ აქვთ, აცხადებენ, მთელ თბილისს ყელში აქვს ამოსული გიგის ბინძური პიარაქციები, სადაც ჩვენ გვიყენებსო. დაჩაგრული ხალხი, ვინც ხელფასს ვერ იღებდა, კარგად აღიქვამდა რეალობას, მაგრამ მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თანხის მიღების სურვილმა არ შეაცვლევინა მათ პოზიციები. რაც შეეხება იმ ადამიანებს, ვინც წახალისების სიაში ხვდებოდა, მათ შორის უამრავი ძალიან პატივსაცემი ქალბატონები და ბატონები, ქვეყნის მოყვარული, კარგი ოჯახის შვილების და შვილიშვილების პატრონები არიან. მათ ძალიან ბევრი კარგი საქმე აქვთ გაკეთებული ამ პროგრამის ფარგლებში. მათ გულწრფელად სჯეროდათ იმ საქმის, რასაც აკეთებდნენ და უხერხულობის შეგრძნებაც, ამის გამო, დღემდე არ აქვთ. ისინი ვერ ხედავდნენ, როგორ ოსტატურად ხდებოდა მათთან სხვადასხვა კომპანიების მიგზავნა და მათთვის სასურველი საქმის (ამხანაგობისთვის აქტუალური საკითხის – ვთქვათ სახურავის მოწესრიგება და ა.შ.) საბაზრო ფასებთან შედარებით გაცილებით ძვირად მოგვარება. ამის თქმის საფუძველი ჩემი წინასწარი ინფორმაციით არსებობს, მიდის აქტიური მუშაობა და შედეგებიც ზუსტად იქნება ცნობილი.

შესაბამისად, ჩნდება კითხვა – იყო თუ არა კორუფციული მომენტები? შესაძლებელია იყო, თუმცა ერთ რამეში ვარ დარწმუნებული – ამხანაგობების თავმჯდომარეების მონაწილეობა ამ საქმეში გამორიცხულია. დარწმუნებული ვარ, ხვალ ჩემი საუბრის საპასუხოდ იტყვიან, რომ კომპანიების შერჩევის პროცესს თვითონ ამხანაგობები და თავმჯდომარეები აკონტროლებდნენ და მერია არაფერ შუაშია. სწორედ ეს არის საინტერესო, როგორ ახერხებდა ერთი და იგივე კომპანია ქალაქის ყველა რაიონში ყველა ამხანაგობისთვის მოეწონებინა თავი და გაეფორმებინა კონტრაქტი. ჩვენ გვაქვს ასეთი მაგალითები და სწორედ ამას სწავლობს სარევიზიო კომისია. ასევე საინტერესოა, როგორ განხორციელდა სენსორული განათების პროგრამა და სხვა პროგრამები. ეს პროექტი რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, განათდა სადარბაზოები, იზოგება ელექტროენერგია, მაგრამ საინტერესოა, რამდენად კარგ ფასად გაკეთდა და ვინ დგას ამის უკან.

ხაზგასმით ვაცხადებ – არავინ ჩათვალოს, რომ ვინმეს (რომელიმე კომპანიას) დაუსაბუთებლად ვუყენებ ბრალს, განსაკუთრებით ამხანაგობების თავმჯდომარეებს. დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ თუ რამე კორუფციული მომენტები იყო ამ პროგრამებში, მათ ამის შესახებ წარმოდგენაც არ ჰქონდათ. უბრალოდ, გულსატკენია ის, რომ ქალაქის მერი ვაჟა-ფშაველას ნუკრის თვალებით გვიყურებს ხოლმე და გვესაუბრება ამხანაგობის თავმჯდომარეების და „მისთვის საინტერესო“ პროგრამების ბედზე, რატომ არ ფიქრობდა თბილისელებზე და ამხანაგობის უამრავ პატივსაცემ თავმჯდომარეზე მაშინ, როდესაც ხალხს აფორმებდა ფიქტიურად მერიის შპს-ებში და ხელფასის სახით მილიონებს არიგებდა, როდესაც თბილისის განვითარების ფონდიდან ტომრებით ფული გამოჰქონდა (ათეულობით მილიონი, ჩემი აზრით, 50 მილიონზე მეტი აქვს გამოტანილი) და პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე არიგებდა ხელფასებს (სხვათა შორის, ჩემი ინფორმაციით, აქაც პრობლემებია. კერძოდ, გამოტანილ და დარიგებულ თანხებს შორის დიდი სხვაობაა გამომტანის, უგულავას სასარგებლოდ), გასცეს პასუხი „ადამიანებზე მზრუნველმა“ მერმა თავისივე პარტიის უბნის უფროსებს და მიკროკოორდინატორებს, რატომ არ გასცა მათთვის განკუთვნილი ის ფული, რომელიც 10 მილიონამდე იყო და მისი მოადგილის კაბინეტში ინახებოდა. რატომ არ აკეთებდა ანალიზს, რომ იმ დროის განმავლობაში, რაც ის მერია, მის ხელში გაიარა რამოდენიმე მილიარდმა ლარმა (4 ან 5 მლრდ) და აქედან ჯამში, ერთ–ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას – ავარიულ სახლებს, მაქსიმუმ 1% (დაახლოებით 50 მლნ ლარი) დაახარჯა, თანაც იმ ფონზე, როცა გაცილებით მეტი სხვადასხვა კონცერტებზე და გართობაზე აქვს დახარჯული, დაახლოებით 60 მლნ.

ეს არის ის მიზეზები, რის გამოც შევაჩერეთ ამხანაგობების წახალისების პროგრამა. მე მინდა, ბოდიში მოვუხადო ყველა იმ პატიოსან თავმჯდომარეს, ვინც ამ გადაწყვეტილების გამო ზიანი მიიღო. გპირდებით, რომ მალე ჩვენ ახალ წესს შევიმუშავებთ და დაფინანსებაც გახდება ბევრად გამჭვირვალე და სამართლიანი. შეუძლებელი იყო შევგუებოდით ამხელა თანხების ასე უკონტროლოდ ხარჯვას.

გულწრფელად ვამბობ – მე ვიქნებოდი უბედნიერესი ადამიანი ასეთ საკითხებზე სასაუბრო რომ არ მქონდეს, ვიქნებოდი ბედნიერი, თუ დღეს ჩვენ ვისაუბრებდით თბილისის განვითარების გენერალურ სტრატეგიაზე, ასევე იმაზე, თუ როგორ ვებრძოლოთ იმ უამრავ პრობლემას, რომელიც თბილისის მოსახლეობას აწუხებს და არ ვიფიქრებდეთ და არ ვისაუბრებდით იმაზე, თუ როგორ ხდებოდა ერთი კაცის სურვილების მიხედვით ჩვენი და ჩვენი შვილების ფულის ხარჯვა. გპირდებით, მაქსიმალურად ვიზრუნებთ, რომ ამ სახის პრობლემები წარსულს ჩაბარდეს, ბიუჯეტის დაგეგმვა და შემდეგ მისი განხორციელება იყოს შესაბამისი იმ გამოწვევების, რომლებიც დღეს ქალაქის წინაშე დგას. არაერთხელ ვთქვი და კიდევ ვიმეორებ, ვერ შევეგუებით იმას, რომ ბიუჯეტის ხარჯზე ქალაქის რომელიმე უბანში ვხარჯოთ სოლიდური თანხები სადარბაზოების რემონტზე და იქვე, გვერდით კორპუსი ინგრეოდეს და დაგვიანებული ჩარევის გამო, როდესაც ბიუჯეტს აქვს შეზღუდული შესაძლებლობები, პრიორიტეტები სწორად უნდა იქნას შერჩეული. სადარბაზოს რემონტი არ არის უკიდურესად აუცილებელი და სიკვდილ-სიცოცხლის ან, უკეთეს შემთხვევაში, ქუჩაში დარჩენის ტოლფასი საკითხი. ასეთია ჩვენი პოზიცია და კიდევ ერთხელ, მინდა, ბოდიში მოვუხადო ყველა თბილისელს, რომელიც ელოდა საკუთარი სადარბაზოს გაკოხტავებას და ეს პროგრამა წელს აღარ ხორციელდება. მენდეთ, ეს საკითხიც მოგვარდება, მაგრამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარების შემდეგ“.



## პრეზიდენტობის კანდიდატებს რიგითი ნომრები განესაზღვრათ

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე კანდიდატების რიგითი ნომრები წილისყრით განსაზღვრა.

ცესკო-ს ინფორმაციით, პრეზიდენტობის რამდენიმე კანდიდატმა პირადად მიიღო წილისყრაში მონაწილეობა და საკუთარი რიგითი ნომერი თავადვე გამოავლინა.

რიგითი ნომრების განსაზღვრის პროცესში მონაწილეობა არ მიუღიათ ნაციონალური მოძრაობის, ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს და ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის კანდიდატებს. მათ ისარგებლეს კანონით მინიჭებული უფლებით და საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, 2012 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისას საუკეთესო შედეგის მქონე მათი წარმდგენი პოლიტიკური პარტიების რიგითი ნომრები შეინარჩუნეს. შესაბამისად, დავით ბაქრაძის საარჩევნო ნომერი — 5, გიორგი მარგველაშვილის — 41, გიორგი თარგამაძისა კი — 10 იქნება.

რაც შეეხება დანარჩენ კანდიდატებს, რიგითი ნომრები შემდეგნაირად განისაზღვრა: მიხეილ სალუაშვილი – 16, შალვა ნათელაშვილი – 9, ნესტან კირთაძე – 12, გიორგი ლილუაშვილი – 2, სერგო ჯავახიძე – 3, ნინო ბურჯანაძე — 14, ლევან ჩაჩუა – 11, ავთანდილ მარგიანი – 19, კობა დავითაშვილი – 4, ნუგზარ ავალიანი – 20, ზურაბ ხარატიშვილი – 15, თეიმურაზ მჟავია – 22, გიორგი ჩიხლაძე – 13, თეიმურაზ ბობოხიძე – 8, აკაკი ასათიანი – 6, ნინო ჭანიშვილი – 7, ქართლოს ღარიბაშვილი – 17, მამუკა ჭოხონელიძე – 18, თამაზ ბიბილური – 1, მამუკა მელიქიშვილი – 21.

*„ინტერპრესნიუსი“*

## ფინანსთა სამინისტრო გიგი უგულავას ამხელს

ფინანსთა სამინისტრო გიგი უგულავას დეზინფორმაციის გავრცელებაში სდებს ბრალს. უწყების ინფორმაციით: **„2013 წელს თბილისის ბიუჯეტი შეადგენს 704,0 მლნ ლარს; აქედან 448,1 მლნ ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერია, 37,2 მლნ ლარი — წლის დასაწყისში არსებული ნაშთი, ხოლო დანარჩენი 218,7 მლნ ლარი თბილისის საკუთარი შემოსავლები.**

**თბილისის მერიის მხრიდან 2013 წლის განმავლობაში გამოყოფილი თანხების ათვისება შეფერხდა. აქედან გამომდინარე, 2013 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თბილისის ბიუჯეტის დეპოზიტზე არსებული ნაშთია 189,7 მლნ ლარი, რაც ნიშნავს, რომ 9 თვის განმავლობაში თბილისმა დააგროვა 150,0 მლნ ლარზე მეტი. ამ ტენდენციიდან გამომდინარე, 2014 წლის დასაწყისისთვის თბილისის ბიუჯეტის დეპოზიტებზე ნაშთი გადააჭარბებს 100,0 მლნ ლარს და იქნება 63,0 მლნ ლარით მეტი, ვიდრე მიმდინარე წლის დასაწყისში. ხოლო ტრანსფერი, 2013 წელთან შედარებით, მცირდება მხოლოდ 49,9 მლნ ლარით. გარდა ამისა, 2014 წელს გაიზრდება თბილისის შემოსავლებიც, რის შედეგადაც, 2014 წელს თბილისის ბიუჯეტის მოცულობა იქნება უფრო მეტი, ვიდრე 2013 წელს“.**

სამინისტრო ასევე სიცრუეს უწოდებს მერის განცხადებას, თითქოს მთავრობამ „ახალგაზრდა ოლიმპიური ფესტივალის“ ორგანიზების მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელებაში თანამონაწილეობაზე უარი განაცხადა: **„2015 წლის ოლიმპიადასთან დაკავშირებით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2013 წელს უკვე გამოიყო 6,5 მლნ ლარი სპორტული დარბაზების რეაბილიტაციისთვის, ხოლო ოლიმპიადის ჩატარებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხებისთვის ყოველწლიურად ბიუჯეტში გათვალისწინებულია 1,5 მლნ ლარი“.**

*„ვერსიანიუსი“*

# შსს-მ საერთაშორისო დონის კიბერდანაშაული გახსნა

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

**ე.წ. ჯიჰადის საქმე გახსნილია — 21-ე საუკუნის მთავარი გამოწვევის, კიბერდანაშაულის წინაშე საქართველო და ქართველი სამართალდამცავებიც აღმოჩნდნენ. ქართველი ჯარისკაცების, საქართველოს მოსახლეობისა და საქართველოს პრეზიდენტის მისამართით მუქარით სავსე ვიდეორგოლის ამტვირთავის ვინაობა უკვე დადგენილია — ყირგიზეთის მოქალაქე, 1989 წლის 6 მარტს დაბადებული სამარ ჩოკუტაევი, სოხუმში მობილური კავშირგაბმულობის ერთ-ერთ კომპანიაში მუშაობს. მას თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიებად დაუსწრებლად შეუფარდა პატიმრობა. ამჟამად, ბრალდებული იძებნება, როგორც საქართველოში, ასევე ქვეყნის ფარგლებსგარეთ.**




„ვერსია“ ვიდეორგოლის გავრცელებიდან რამდენიმე დღეშივე, კონფიდენციალურ წყაროზე დაყრდნობით, ექსკლუზიურად ავრცელებდა ინფორმაციას, რომ საქართველოს შსს-სთვის, დანაშაულის ჩადენიდან მალევე ცნობილი იყო დამნაშავის ვინაობა; წყარომ მაშინ ისიც გაგვიმხილა, რომ ძალოვნებს აღნიშნული პირი უკვე დაკითხული ჰყავდათ, რომელიც გამოტყდა, რომ ვიდეოს გაკეთება-განთავსების იდეა მას შემდეგ გაუჩნდა, რაც ტელევიზიით, 26 მაისს, ავღანეთში მიხეილ სააკაშვილის ვიზიტის ამსახველი კადრები ნახა. „ვერსიისვე“ ექსკლუზიური ინფორმაციით, ვიდეოს ატვირთვის ერთ-ერთი მიზანი ის იყო, რომ ვიღაცას საქართველოში ნატო-ს საწინააღმდეგო კამპანიის აგორება აწყობდა — მიზნის მიღწევის შემთხვევაში, რომელიმე ძალა, კონკრეტულად კი, ნაციონალური მოძრაობა დასავლეთს მტკიცებას დაუწყებდა, ქვეყნის ხელისუფლებამ კურსი შეცვალა, ჩრდილოეთისკენ მიაქანებს საქართველოსო.

ექსპერტების უმრავლესობამ, ვიდეოს განთავსებისთანავე, განიხილა ვერსია, რომ მის შემკვეთ-განმთავსებელს საქართველოს სახელისუფლებო სტრუქტურის ჩამოშლა და ივანიშვილის გუნდის იმიჯის შელახვა ჰქონდა გამიზნული; ზოგმა, ისიც განაცხადა, რომ ამ გამოწვევის ადრესატები, ძირითადად, ძალოვანი სტრუქტურები, კონკრეტულად კი, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი იყო... ამ ფონზე, ბევრმა ანალიტიკოსმა ივარაუდა, „ჯიჰადის საქმის“ გამოძიება ღარიბაშვილის ღირსების საკითხია და ამას პრემიერის რჩეული მინისტრი აუცილებლად მოახერხებსო.

თუმცა, ალბათ, ბევრს ეპარებოდა ეჭვი, რომ ასეთი მასშტაბის კიბერდანაშაულის გახსნას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, მოკავშირე ქვეყნების სპეცსამსახურებთან ერთად, სულ რაღაც 3 თვეში შეძლებდა — შს სამინისტროში აცხადებენ, რომ საქმე უკვე 1 თვეა გახსნილია. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე კი, გარკვეული ინფორმაციის გასაჯაროების გადაწყვეტილება მიიღეს, თუმცა დანაშაულის ხასიათიდან და მისი გამოძიების სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს ინფორმაცია, გარკვეულწილად, ლიმიტირებული იქნება.

„ლიმიტირებული ინფორმაცია“ კი ასეთია: **„შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ ჩატარებული ინტენსიური საგამოძიებო და ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიებების შედეგად, დადგენილია დანაშაულის ჩამდენი პირი — 1989 წლის 6 მარტს დაბადებული ყირგიზეთის მოქალაქე სამარ ჩოკუტაევი, რომელიც სოხუმში მობილური კავშირგაბმულობის ერთ-ერთ კომპანიაში მუშაობს. მის მიმართ დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 330-ე პრიმა მუხლით.**

**სამარ ჩოკუტაევს ბრალი დაედო „საქვეყნოდ ინფორმაციის გავრცელებაში ტერორისტული აქტის ჩადენისკენ მოწოდების მიზნით, რაც წარმოშობს ასეთი დანაშაულის ჩადენის საფრთხეს“.**

**საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, უდავოდ დადგენილია, რომ ბრალდებული სამარ ჩოკუტაევი არის მაღალი კვალიფიკაციის IT სპეციალისტი და დანაშაული მან საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიაზე ჩაიდინა, კერძოდ: 2013 წლის 4 ივნისს ბრალდებულმა სამარ ჩოკუტაევმა ინტერნეტსივრცეში მომხმარებელ Hammad Zaman-ის სახელით განათავსა ვიდეორგოლი TALIBAN JIHAD AGAINST GEORGIAN TROOPS IN AFGHANISTAN, რომელიც შეიცავს ავღანეთში მყოფი საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და საქართველოს პრეზიდენტის მიმართ მუქარას. უშუალოდ ვიდეორგოლის, აგრეთვე ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენისას გამოყენებული ტექნოლოგიის დეტალური შესწავლისა და სათანადო ექსპერტიზის ჩატარების შედეგად დადგინდა: ვიდეომასალა, რომელიც გამოყენებულია მუქარის შემცველი ვიდეორგოლის შესაქმნელად, მოპოვებულია თავისუფალი წვდომის ინტერნეტსივრცეში, რგოლი შექმნილია ამ ვიდეომასალის დამონტაჟების შედეგად და მის დასამზადებლად ავტორს არ დასჭირვებია რომელიმე ქართული ტელეკომპანიის ვიდეოარქივთან უშუალო ანუ ფიზიკური წვდომა; დანაშაული ჩადენილია აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან“.**

„ვერსია“ IT სპეციალისტ ნიკა ტუღუშს დაუკავშირდა, რომელმაც დეტალურად აგვიხსნა, როგორ მოქმედებდა სამარ ჩოკუტაევი ვიდეორგოლის დამზადება-განთავსებისას და როგორ ცდილობდა იგი სამართალდამცავებისთვის კვალის არევას. ამ მიზნით, სამარ ჩოკუტაევმა გამოიყენა ქართული GSM ოპერატორების („მაგთიკომი“, „ჯეოსელი“, „მობიტელი“) USB ინტერნეტ-მოდემები. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილზე ვრცელდება საქართველოში მოქმედი სამივე GSM ოპერატორის სიხშირე, თავად ანძები კი, რომლებითაც ბრალდებული სარგებლობდა, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზეა განლაგებული. გამოძიებით დადგენილია, რომ სამარ ჩოკუტაევმა, აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან, მალაიზიაში წინასწარ მომზადებული სერვერის გამოყენებით, დაშიფრული ხაზით შეაღწია თბილისში, ორ სხვადასხვა მისამართზე მდებარე კერძო სტრუქტურათა ოფისების ინტერნეტ-ქსელში და იმგვარად ატვირთა მუქარის შემცველი ვიდეორგოლი აღნიშნულ ოფისებში განთავსებული როუტერების გამოყენებით, რათა შექმნილიყო შთაბეჭდილება, თითქოს დანაშაული ამ ოფისების მიმდებარე ტერიტორიაზე ჩაიდინეს.

**ნიკა ტუღუში: „ჩოკუტაევი საკმაოდ ჭკვიანურად და პროფესიონალურად მოქმედებდა — ყველაფერი კარგად მოიფიქრა, დაგეგმა და განახორციელა. იშოვა საქართველოს USB მოდემები და „ფუნქციონირება“ სწორედ ჩვენი ქვეყნიდან დაიწყო. შემდეგ იქირავა სერვერი მალაიზიაში, რაც საკმაოდ ადვილია, მაგრამ სერვერში კონფიგურაციის მოწყობაა რთული და პროფესიონალის გარდა, ამას ვერავინ გააკეთებდა. მალაიზიაში შექმნა დახურული არხი, რათა სამართალდამცავებისთვის, ფაქტობრივად, შეუძლებელი ყოფილიყო იმის გაგება, რა ინფორმაცია გაატარა ამ არხმა; ამის შემდეგ, მან მოახერხა ვიდეოს ატვირთვა თბილისის როუტერების მეშვეობით და ეს კვალის არევის საუკეთესო საშუალება იყო — ამ როუტერების გამოყენებით ვიდეოს ატვირთვა საქართველოდან ნებისმიერ ადამიანს შეეძლო „ვაიარლესით“ ან სხვა რაიმე მეთოდით ანუ მან გათვალა, რომ შსს მიიტანდა ეჭვს საქართველოში ვინმეზე და ასეც მოხდა — გამოძიების საწყის ეტაპზე, სწორედ თბილისში განთავსებული IP მისამართების იდენტიფიცირება მოხდა ქართველი სამართალდამცველების მიერ. ამგვარად, საწყის ეტაპზე, ჩოკუტაევმა მოახერხა და სავარაუდო დამნაშავეთა ძალიან დიდი წრე შექმნა. ალბათ, ის ვერ წარმოიდგინა, რომ საქართველოს შსს, სხვა ქვეყნების კოლეგებთან ერთად, დახურულ არხს დაშიფრავდა და დაადგენდა, რომ მალაიზიიდან იყო ვიდეო ატვირთული საქართველოს ორი კომპანიის როუტერების გამოყენებით. როუტერების დადგენის შემდეგ კი, უკვე გამარტივდა საქმე — თარიღისა და ვიდეოს ატვირთვის ზუსტი დროის დადგენის შემდეგ, გაარკვიეს, რომ ამტვირთავი იმყოფება აფხაზეთში“.**

საერთაშორისო დონის კიბერდანაშაულის გახსნა ღარიბაშვილის უწყებას ასეთ მოკლე დროში, მოკავშირე ქვეყნების დახმარების გარეშე რომ გაუჭირდებოდა, ამას სამინისტროშიც არ უარყოფენ; მეტიც, საქართველოს შსს მადლობას უხდის მოკავშირე ქვეყნების სპეცსამსახურებს ამ საქმის გამოძიებაში გაწეული ქმედითი დახმარებისთვის.

შსს-ს ვერსიის დამაჯერებლობაში ეჭვი შეაქვთ ოპონენტებს, რომლებიც აცხადებენ, თუ საქმე ერთი თვის წინ იყო გახსნილი, აქამდე რატომ არ გაახმოვანესო... რა საფრთხის შემცველი იყო მსგავსი ტიპის დანაშაულის გახსნისთანავე ინფორმაციის გახმოვანება, რატომ არ ავრცელებს ინფორმაციას შსს სრულად, ვინ იყო ვიდეოს შექმნა-გავრცელების შემკვეთი და რა მიზანი ამოძრავებდა მას? ამ საინტერესო კითხვებზე პასუხების მისაღებად „ვერსია“ ექსპერტ **კახა კახიშვილს** დაუკავშირდა.

— 21-ე საუკუნეში კიბერდანაშაული გამოწვევაა ყველა ქვეყნის სპეცსამსახურისთვის, რადგან მისი გახსნა ძალიან რთულია. დარწმუნებული ვარ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამ დანაშაულის გახსნა აშშ-ს სპეცსამსახურებთან ერთად მოახერხა, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი კითხვა რჩება უპასუხოდ. მაგალითად: მარტო მოქმედებდა თუ არა ჩოკუტაევი? ვინ იდგა მის უკან? რა განზრახვა და მოტივი ამოძრავებდა მას? ასე რომ, ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო უნდა ჩატარდეს იმის დასადგენად, რეალურად, რასთან გვაქვს საქმე. თუმცა ნამდვილად მისასალმებელია, რომ ასეთ მოკლე დროში დამნაშავის ვინაობა უკვე დადგენილია.

**— ამ კითხვებზე პასუხები, შესაძლოა, შსს-ს აქვს კიდეც, უბრალოდ, არ ახმოვანებს. თქვენი ვარაუდით, რასთან გვაქვს საქმე და რადგან ჩოკუტაევი სოხუმში მუშაობს, შესაძლებელია თუ არა მის უკან რუსეთის სპეცსამსახურების კვალი დავინახოთ?**

— დიახ, ალბათ, შსს-ს გაცილებით მეტი ინფორმაცია აქვს, რომლის გახმოვანებაც, გამოძიების მომდევნო ეტაპს შეუშლის ხელს, ჩვენ კი შეიძლება განვიხილოთ სამი სავარაუდო ვერსია:

**პირველი** — გამომდინარე იქიდან, რომ დანაშაულის ადგილი ჩოკუტაევმა შენიღბა და ისე იმოქმედა, ეჭვი გვქონოდა, რომ ვიდეო თბილისიდან აიტვირთა... შეიძლება, ამ ადამიანის უკან დგანან რომელიმე უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების თანამშრომლები, რომელთა მიზანი იყო პანიკის დათესვა, სახელისუფლებო სტრუქტურების ნაწილობრივ ჩამოშლა და არაა გამორიცხული, პოლიტიკის განსაზღვრაც კი;

**მეორე** — რადგან გავრცელდა ინფორმაცია, რომ ეს ადამიანი ავღანეთში ინსტრუქტორად მუშაობდა, შესაძლებელია, ვიდეო განთავსდა ავღანეთის ბოევიკების ან ტერორისტების დაკვეთით;

**მესამე** — შესაძლებელია, ამ ადამიანის უკან დგას რაღაც კონკრეტული დანაშაულებრივ-კრიმინალური ჯგუფი, რომლის მიზანი იყო რაღაც ტიპის პრობლემების შექმნას. ვფიქრობ, გამოძიებამ ამ სამი მიმართულებით უნდა იმუშაოს. ამ სამიდან ნებისმიერი ვერსია, შესაძლოა, აქტუალური იყოს. არც ისაა გამორიცხული, ამ ადამიანის სოხუმში ყოფნაც კვალის არევის მცდელობა იყოს. ასე რომ, აქ ბევრი საკითხია შესასწავლი.

**— ვიდეოს გავრცელებისთანავე, სავარაუდო დამკვეთების სიაში ნაციონალებიც განიხილებოდნენ. თქვენი აზრით, საქმის გახსნის შემდეგ, ეს ვერსია გამოირიცხა?**

— არ ვფიქრობ, რომ გამოირიცხა, თუმცა ამ ეტაპზე, მხოლოდ შსს-ს პოზიცია მაინტერესებს. ჩემგან, როგორც იურისტისგან, ძალიან უხერხული იქნება სხვა პოზიციებსა და ვერსიებზე საუბარი, მით უმეტეს, სიმართლე გითხრათ, ვფიქრობ, შსს-მ უკვე დამკვეთის ვინაობაც იცის.

**— და რატომ არ ახმოვანებს... ან ერთი თვის წინ გახსნილი საქმის შესახებ, აქამდე რატომ არ გავრცელდა ინფორმაცია?**

— ვფიქრობ, ინფორმაცია არ გავრცელდა სამხილების მოპოვების, ასევე ამ საქმეში დამნაშავე სხვა პირების დადგენის მიზნით. ვფიქრობ, ჩოკუტაევი, უბრალოდ, ტექნიკური შემსრულებელი იყო. ამ ფონზე, სწორია, რომ შსს-მ თავი შეიკავა ინფორმაციის გამჟღავნებისგან — ამას შეიძლება ხელი შეეშალა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისთვის. საქმის გახსნის შესახებ ინფორმაცია ადრე რომ გავრცელებულიყო, შესაძლოა, დამნაშავეები პანიკას მოეცვა და მათ ყველაფერი გაეკეთებინათ კვალის უფრო ასარევად. გასაგებია, რომ საზოგადოებას მაღალი ინტერესი აქვს ამ დანაშაულის მიმართ, მაგრამ არის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა, რომელიც მიმართულია დანაშაულის ბოლომდე გახსნისკენ, დამკვეთებისა და მათი მიზნების გამოვლენისკენ.



## „ოკუპაციის ხაზის მიმდებარე სოფლებში უსაფრთხოების ერთადერთი გარანტორი შს სამინისტროა“

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის მიმართულებაზე რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ მავთულხლართების მონტაჟის პროცესი დაიწყო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ და ის 2009-2012 წლებში ეტაპობრივად გაგრძელდა გორის, ქარელისა და კასპის რაიონების სოფლებში.

მავთულხლართების, ღობეებისა და მიწათხრილების მოწყობის პროცესმა ოკუპირებული ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონებში ინტენსიური ხასიათი შეიძინა 2013 წელს და სწრაფი ტემპით გაგრძელდა გორის, ქარელის, ახალგორისა და ზუგდიდის რაიონების სოფლებში. რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ ამ უკანონო ქმედებების დაწყების წუთიდან შსს, სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად, სისტემატურად განიხილავს ამ პრობლემას და მას უპირველეს საკითხად აყენებს, როგორც ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (იპრმ), ასევე ჟენევის დისკუსიების ფორმატის ფარგლებში. შსს განაგრძობს მის ხელთ არსებული ყველა ინსტრუმენტის გამოყენებას, რათა ადგილზე უზრუნველყოს სტაბილურობა და ავიცილოთ ვითარების ესკალაცია.

აღნიშნული საკითხისადმი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, შსს-მ საგანგებო განცხადება გაავრცელა და საზოგადოებას ოკუპირებული ტერიტორიებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ მიმდინარე წელს განხორციელებული ცალკეული ღონისძიებების შესახებ აცნობა: **„სამინისტრო ჩართულია ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმში (8 შეხვედრა) და ჟენევის მოლაპარაკებებში (3 რაუნდი); ყველა მაღალი დონის შეხვედრაზე, მათ შორის, მინისტრის ყველა ოფიციალური ვიზიტისას, პარტნიორი სახელმწიფოების აღმასრულებელ თუ საკანონმდებლო ორგანოებთან უპირველეს საკითხად დგება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება, დეტალურად განიხილება შექმნილი მდგომარეობა და არსებული გამოწვევები; ოკუპაციის ხაზის მიმდებარე რიგ სოფლებში გაიზარდა მობილური პატრულის ჯგუფების რაოდენობა და დაემატა დროებითი საგუშაგოები; შსს-ს თაოსნობით, დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მრავალჯერ იმყოფებოდნენ ოკუპაციის ხაზის მიმდებარე სოფლებში ვითარების ადგილზე გასაცნობად; სამინისტრო მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიასთან და ყოველდღიური კომუნიკაციისა და „ცხელი ხაზის“ ფარგლებში, ეფექტურად მოქმედებს ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემების გადაჭრაში; სამინისტრომ შეხვედრები გამართა შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, იმერეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონების მოსახლეობასთან; უწყების უშუალო მონაწილეობით საოკუპაციო ზოლზე არაერთგზის ავიცილეთ ოკუპანტების მხრიდან დაგეგმილი სხვადასხვა სახის პროვოკაცია; სამინისტრო ჩართულია ოკუპანტებისა და დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ უკანონოდ დაკავებულ საქართველოს მოქალაქეთა გათავისუფლების პროცესში...“**

ღარიბაშვილის უწყებაში ასევე აცხადებენ, რომ ოკუპაციის ხაზის მიმდებარე სოფლებში უსაფრთხოების ერთადერთ გარანტორს წარმოადგენს სწორედ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელიც ყოველდღიურად ახორციელებს ღონისძიებებს ადგილობრივი მოსახლეობის მეტი დაცულობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

*„ვერსიანიუსი“*

რუსუდან შელია
557-100-768

**ე.წ. სტამბოლის ბაზრის მეპატრონისთვის წილების წართმევა, ვაგონშემკეთებელ ქარხანასა და ხორცკომბინატში, ასევე რუსთავის მშენებარე სასტუმრო „ვეჯინში“ ბიზნესინტერესები, გარდაბნის მაჟორიტარი დეპუტატის გიორგი ფეიქრიშვილის მფარველობისთვის ტაბახმელაში საჩუქრად მიღებული მშენებარე სახლი, ნაციონალური მოძრაობის აქტივისტების პარტიაში გაწევრიანება... — ეს იმ ბრალდებების არასრული ჩამონათვალია, რომელიც ბოლო დროს კონსერვატიული პარტიის ლიდერის ზვიად ძიძიგურის მისამართით ისმის. რუსთავის მაჟორიტარი „ვერსიასთან“ დუმილს არღვევს, კოალიციის ერთწლიან მუშაობას აფასებს და მის წინააღმდეგ გაჟღერებულ ყველა ბრალდებას პასუხობს.**

— აბა, გამაგებინეთ, რატომ გვაქვს ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი? ბიუჯეტს ვერ ვამტკიცებთ თუ პარლამენტი არ მუშაობს? ივანიშვილის კრიტიკა გამართლებულია — ეს შექმნის პირობას, საზოგადოებისთვის პატივსაცემი ადამიანები საკუთარ გამონათქვამებს დაუფიქრდნენ და არგუმენტირებულად ისაუბრებენ. რატომღაც ჩვენთან მიღებულია, რომ ერთმა ექსპერტმა ყველაფერზე უნდა ისაუბროს — საგარეო საქმეთა სამინისტროს ყოფილი ჩინოვნიკი ეკონომიკურ მაჩვენებლებს აფასებს, ეკონომიკის ექსპერტები სოციოლოგიაზე საუბრობენ... როცა ექსპერტი აცხადებს, რომ ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისია, ამ განცხადების უკან კვლევა და მეცნიერული შრომა უნდა იდოს.

**— დაახლოებით, იგივე დამოკიდებულება ჰქონდა ნაციონალურ მოძრაობას განსხვავებული აზრის მიმართ, კოალიცია კი მათ მეთოდებს არჩევნების წინ იმეორებს — რეგიონებში ჩასულ მარგველაშვილს მასწავლებლებსა და ბავშვებს ახვედრებენ.**



# „ვინ დაიჯერებს, რომ რუსთავში ყველა ბიზნესის წილში ვზივარ ან ქრთამს ვიღებ და ტაბახმელაში სახლებს მიშენებენ?“

## ზვიად ძიძიგური დუმილს არღვევს და ბრალდებებს პასუხობს

— ერთი წლის განმავლობაში კოალიციამ მოახერხა სასამართლო რეფორმის გატარება, რამაც მოსამართლეები ხელისუფლების წნეხისგან მაქსიმალურად გაათავისუფლა. რეკეტისგან სრულად გათავისუფლდა ბიზნესიც; მეტიც — სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს უკეთესი ბიზნესგარემოს შესაქმნელად. საყოველთაო ჯანდაცვის ასამოქმედებლად დაუღალავად იმუშავა ჯანდაცვის სამინისტრომაც — დღეს უფულობის მიუხედავად, ავადმყოფს ქუჩაში არავინ დატოვებს და საჭიროების შემთხვევაში, გადაუდებელ ოპერაციას სახელმწიფო დააფინანსებს. ორჯერ გაიზარდა სოციალური დახმარება, პენსია... განათლების სისტემაშიც მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა.

**— თუმცა, ამ რეფორმებშიც ხარვეზები დაფიქსირდა, ევრაზიულ კავშირთან დაკავშირებით, ბიძინა ივანიშვილის განცხადების შემდეგ საზოგადოების ნაწილისთვის ქვეყნის საგარეო კურსი გაურკვეველია, დვანში კი რუსი მესაზღვრეები ქართველებს სახლებს აცლევინებენ...**

— ვაღიარებ, ხარვეზები არის, მაგრამ ამასაც ახსნა აქვს — წინა ხელისუფლება იმდენად არასწორად მართავდა ქვეყანას, ხელის ერთი მოსმით ყველაფრის გამოსწორება შეუძლებელია. რაც შეეხება დვანში არსებულ პრობლემებს, ამ მიმართულებით საგარეო საქმეთა სამინისტრო ინტენსიურად მუშაობს. ევროპარლამენტიდან 50-კაციანი დელეგაცია გვესტუმრა, რომელიც ადგილზე შეისწავლის კონფლიქტისპირა სოფლებში შექმნილ ვითარებას. გაერო-ს გენერალური ასამბლეის შეხვედრის პარალელურად, საგარეო საქმეთა სამინისტრომ საერთაშორისო პარტნიორებთან მაღალი დონის 80-ზე მეტი შეხვედრა გამართა. მეგობარ სახელმწიფოებს დეტალური ინფორმაცია აქვთ, რა პროცესი მიმდინარეობს დვანში.

**— და, შედეგად, ქართულმა მხარემ რა მიიღო?**

— რუსეთი ცდილობს, პროვოკაციაზე წამოგვაგოს და შეიარაღებულ დაპირისპირებაში ჩაგვითრიოს, რაც იმ მინდორზე შესვლას ნიშნავს, სადაც ბევრად ძლიერია. თუ მაინც გადავდგამთ ამ ნაბიჯს, იმასაც ვაღიარებთ, რომ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე საზღვარი დვანიდან ას მეტრში გადის, დანარჩენი ტერიტორია კი საბოლოოდ დავკარგეთ. რუსეთთან ურთიერთობის ამ ფორმებით გარკვევას არ ვაპირებთ — ეს გამოუსწორებელი დიპლომატიური და სტრატეგიული შეცდომა იქნება. ვინც ფიქრობს, რომ დვანში ქართული ჯარი უნდა შევიყვანოთ, დაფიქრდეს, რას მოიგებს ამით საქართველო. ამ პროცესით მეც შეშფოთებული ვარ, მაგრამ მესმის, რომ ამ ეტაპზე, ხელისუფლებას სხვა ბერკეტი არ გააჩნია. თან, ეს პროცესი 2008 წელს დაიწყო და ივანიშვილის გუნდი არაფერ შუაშია.

**— ხელისუფლებაში ხართ, თუმცა რუსეთის ქმედებების მკვეთრ შეფასებასაც კი ერიდებით. დათმობის პოლიტიკა მსგავს შემთხვევებში გამართლებულია?**

— მკვეთრ განცხადებებს ცხრა წლის განმავლობაში ვისმენდით, მაგრამ ამ პოლიტიკამ რა შედეგამდე მიგვიყვანა? ერთ-ერთმა ექსპერტმა საჯარო შეხვედრაზე ბიძინა ივანიშვილს უთხრა, რუსეთის შეჩერების 50 ხერხი ვიციო... თუ იციან, გვასწავლონ და გამოვიყენებთ. დედამიწის ზურგზე არავის უთქვამს, როგორ უნდა მოაგვაროს საქართველომ ეს პრობლემები. ფაქტია, დინჯი და გაწონასწორებული მოქმედების გარდა, ალტერნატივა არ არსებობს. ზოგადად, კარგი იქნება, თუ ექსპერტები არგუმენტირებულად ისაუბრებენ, რადგან მათ განცხადებებს საზოგადოება ენდობა. მაგალითად, როცა ექსპერტი ამბობს, რომ ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისია, ბოდიში, მაგრამ ამას ახსნა სჭირდება.

**— რატომაა ექსპერტი ვალდებული, პრემიერს ან დეპუტატს თავისი განცხადებები აუხსნას?**

— დიახ, ნაციონალების მსგავს ქმედებებს წარსულში ვაკრიტიკებდი, მაგრამ ვგულისხმობდი, რომ არ შეიძლება, ადამიანებს აქციაზე მისვლა აიძულო, თორემ თუ მასწავლებელს ან ახალგაზრდას მარგველაშვილის ნახვის სურვილი გაუჩნდა, უნდა დავუშალოთ? ვნახე, როგორ უყვარს გიორგი მარგველაშვილი ხალხს... წალკაში, შეხვედრაზე, წვიმის მიუხედავად, ერთ ადამიანსაც კი არ მოუცვლია ფეხი ანუ აქციაზე ძალით არავინ მოსულა. დარწმუნებული ვარ, კოალიციის საპრეზიდენტო კანდიდატი არჩევნებში დიდი უპირატესობით გაიმარჯვებს, რადგან მას ღირსეული ალტერნატივა არ ჰყავს. დანარჩენ 22 კანდიდატს, არჩევნების მეორე დღეს პოლიტიკური „პახმელიიდან“ გამოსვლა მოუწევს. აი, ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებაა ჩვენსა და ნაცმოძრაობას შორის.

**— ნაციონალების აქტივისტების მფარველობაში დიდი ხანია გადანაშაულებენ, თქვენ კი ბრალდებებს არ პასუხობთ. გიორგი ფეიქრიშვილი ტაბახმელაში სახლს მართლა გიშენებთ?**

— ამ კონკრეტულ კითხვაზე პასუხი მარტივია. პარლამენტის ვებ-გვერდზე ნათლად წერია, ვინ რომელ ფრაქციაშია გაერთიანებული. გიორგი ფეიქრიშვილი, რომლის მიმართაც მამუკა არეშიძე კეთილგანწყობილი არ არის იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ გარდაბანში კონკურენტები იყვნენ, კონსერვატიული პარტიის წევრი არ გახლავთ და არც ჩვენს ფრაქციაში ირიცხება. მხოლოდ ეს პასუხი საკმარისია, დავასკვნათ — ჩემს წინააღმდეგ გაჟღერებული ყველა ბრალდება აბსურდულია. დანარჩენ საკითხებზე კი საუბარიც არ ღირს... ამიტომ ვამბობ, რომ ყველამ არგუმენტირებულად უნდა ისაუბროს — ცასა და დედამიწასავით განსხვავდება მამუკა არეშიძის ნათქვამი რეალობისგან.

**— არეშიძე თქვენს წინააღმდეგ კამპანიაშია ჩართული? „ქართული ოცნების“ საზოგადოებრივი ხელმძღვანელიც ამტკიცებს, რომ რუსთავში ბიზნესს ავიწროებთ და გარდაბანში შეშინებული ნაციონალებისგან, ლობირების სანაცვლოდ, ფულს იღებთ.**

— ეს ყველაფერი მეც მოვისმინე. ამას, რუსთავში ის განაწყენებული ადამიანები ამბობენ, ვისაც „ქართული ოცნების“ შტაბების ხელმძღვანელობა სურთ. ისინი რუსთავის მერიაში დანიშვნასაც ითხოვდნენ და ახლა მადანაშაულებენ, თითქოს, მათ კანდიდატურას ვბლოკავ. ჩანს, ვიღაცებისგან გარკვეული მხარდაჭერა იპოვეს და სიცრუის ნიაღვარიც ამის შემდეგ წამოვიდა. ვინ დაიჯერებს, რომ რუსთავში ბიზნესი არ დარჩა, რომლის წილშიც არ „ვზივარ“ ან თურმე ქრთამს ვიღებ და ტაბახმელაში სახლებს მიშენებენ? „რუსთავის ფაშაც“ კი მიწოდეს — თურმე მოურავებიც მყოლია. ვინც მსგავს ტალახს ისვრის ჩემი მიმართულებით, თავის პროფესიონალიზმს ეჭვქვეშ აყენებს.

**— ადამიანთა ეს ჯგუფი ბიძინა ივანიშვილსაც რამდენჯერმე შეხვდა. პრემიერს თქვენთვის ახსნა-განმარტება არ მოუთხოვია?**

— არა... ეს განაწყენებული ადამიანები წინასაარჩევნო კამპანიაში ხელს მიშლიდნენ და საპარლამენტო არჩევნებამდეც ხან ბიძინა ივანიშვილის კართან, ხანაც კოალიციის ოფისის წინ, ჩემს წინააღმდეგ იკრიბებოდნენ. მაშინ ყველანაირად ვცდილობდი, ეს ინფორმაცია დამემალა და სააშკარაოზე არ გამომეტანა, რადგან მსგავსი ტიპის წინააღმდეგობა არჩევნებში ხელისშემშლელი იქნებოდა. ასე რომ, ეს ყველაფერი შარშან გავიარე. კოალიციაში ბევრს უნდოდა „ოცნების“ თავმჯდომარის პოსტი, თვითმმართველობებში პოზიციების დაკავება, მაგრამ როცა არ გამოუვიდათ, ტალახის სროლა დაიწყეს. ყველას ვთხოვ, გადაუმოწმებელ ინფორმაციას ნუ გაავრცელებენ.

# შალვას გასაჭირი

რეზო შატაკიშვილი











21 წელია, პოლიტიკურ არენაზეა. ამ წლების მანძილზე, ფიგურამ სახელად – შალვა ნათელაშვილი – საინტერესო გზა გამოიარა, ხან საშიშ პოლიტიკურ მეტოქედ აღიქმებოდა – იმდენად, რომ პარლამენტში არც უშვებდნენ, ხან მის მოთაფვლას ამჯობინებდნენ, დღეს მისი უკვე აღარავის ეშინია, სამაგიეროდ, ყველას პირს ღიმილი ეფინება და მოუთმენლად ელის მის გამოთქმებსა და შეფასებებს. იყო სააკაშვილის კონკურენტი და იქცა ვანო ჯავახიშვილის კონკურენტად. იყო, როგორც ველასკესის ნახატი, პირქუში პორტრეტი და იქცა რად? დომიეს ნახატ კარიკატურად. მიუხედავად ამისა, შალვა ნათელაშვილი ქართულ პოლიტიკაში მაინც რჩება ფაქტორად... და სწორედ აქაა შალვას ჯადო და თილისმა. ვინც უნდა გაექცეს პარტიიდან, სულაც რომ მარტო დარჩეს, ის მაინც იქნება ერთ-ერთი ფაქტორი ქართულ პოლიტიკაში. შალვა ნათელაშვილი, თამამად შეიძლება ითქვას, არათუ ქართული პოლიტიკის, უკვე ქართული ფოლკლორის კუთვნილებაცაა. შალვა ნათელაშვილი – კაცი ფოლკლორი, ერთნაირი წარმატებით ისვრის ფრაზა-მარგალიტებს და ხელთათმანს.

რამ განაპირობა პოლიტიკური ლიდერის ამგვარი, თუ შეიძლება ითქვას, კოლორიტული მარგინალიზაცია? პოლიტიკური ლიდერის ქცევა საყვარელ პოლიტიკურ პერსონაჟად, რომელიც აგრესიას აღარ იწვევს, მაგრამ არც აღარავინ ენდობა? და ეს ვისი ბრალია, თვითონ ლიდერის თუ საზოგადოებისაც? ალბათ ორივესი.

2012 წლის არჩევნებზე, ნათელაშვილსა და მის პარტიას ბევრად უხვი დაპირებები ჰქონდა, ვიდრე ივანიშვილს, მაგრამ ივანიშვილის ოცნებამ 54,97% მიიღო, ნათელაშვილმა კი მხოლოდ 1,24 %. რა მოხდა, თუ საზოგადოება უხვ დაპირებებს დახარბდა, დაპირებით ხომ შალვა უფრო მეტს ჰპირდებოდა? თუ სააკაშვილის შეცვლა უნდოდათ, მიეცათ ხმა შალვასთვისაც, მაინცდამაინც ივანიშვილით უნდოდათ შეცვლა? მაშინ გამოდის, რომ ივანიშვილი ნდომებიათ და ან მიშა რა შუაშია, ან გრიშა, ან შალვა? ცხადია, იმ უხვ დაპირებებს შალვა ნათელაშვილი ვერ შეუსრულებდა, მაგრამ რა, ივანიშვილმა შეასრულა? რა მნიშვნელობა აქვს, ვის მოატყუებინებ თავს? რატომ დაუჯერეს ივანიშვილს და არ დაუჯერეს ნათელაშვილს? ეს მხოლოდ შალვას ბრალია თუ საზოგადოების, რომელსაც ფული ექსტაზში აგდებს და ეთაყვანება მიუხედავად იმისა, მათია თუ სხვისი – ამ შემთხვევაში, ივანიშვილის. ძველ საქართველოში ხნიერ კაცს ტყუილი სიზმარიც დაეჯერებოდა, დღევანდელ საქართველოში ასაკი ფულმა ჩაანაცვლა და ფულიან კაცს ტყუილი და ოცნებაც დაეჯერება?

ძველ საქართველოში ამბობდნენ – უფულო კაცი ქვაზე მაგარიაო, მერე რა, რომ ახალ საქართველოში ამ ქვაზე მაგარ უფულო კაცებზე იღიმებიან. ვინმე მომედავება და მეტყვის, რომელ უფულო კაცზე ლაპარაკობო, რომლის მეუღლესაც ბანში 100 ათას ევრომდე აქვსო? ეს ფული ოჯახისთვის კაი გვარიანი თანხაა, პოლიტიკისთვის ხურდა ფული – მით უფრო, როცა არენაზე მილიარდერი გამოდის. ხალხმა არცთუ უსაფუძვლოდ იფიქრა, რომ მიხეილის დამარცხება მხოლოდ დიდ ფულს შეეძლო, მერე რა, რომ ასევე საფუძვლიანად შეცდნენ, როცა ეგონათ, მათ ამ ფულს ვინმე რაიმე გზით უწილადებდა.

უნდა ითქვას, რომ არავინ ისეთი თანმიმდევრული არაა ამ ქვეყანაში ივანიშვილთან მიმართებაში, როგორც ნათელაშვილი. იმთავითვე აკრიტიკებდა, მონათლა კიდეც – ზეზვად. ობიექტურობისთვის ისიც უნდა ითქვას, რომ არათუ ქონებრივად, აზროვნებით, სტილითაც განსხვავდება მისგან – ასე მაგალითად, მიჯირყვნა მისი სტილი არაა, მას უფრო გაბუტვა ეხერხება – იგივე მედიასთან, თავისი გაბუტვით ერთგვარად სჯის მედიას – იცის, მედიას უყვარს მისი ხუმრობა, ენამოსწრებული ნათქვამები, მწარე შეფასებები და დროებით უზღუდავს ხოლმე ამ სიამოვნებას.

საერთოდ, რაც ალაზევებს, ისევე ღუპავს ხანდახან ადამიანს და მათ შორის პოლიტიკოსსაც. შებრუნებითაც იგივეა, რაც გლუპავს, საბოლოოდ, ის გადაგარჩენს. ნათელაშვილის შემთხვევაში, ეს მისია სწორედ ექსცენტრულმა, ხალასმა იუმორმა შეასრულა. პოპულარობა, ბევრწილად, სწორედ ენამოსწრებულობამ მოუტანა, მაგრამ მერე და მერე ამ იუმორით ისე გააჯერა გამოსვლები, ნელ-ნელა სერიოზულობა დაუკარგა, თუმცა საბოლოოდ, ისევ ამ იუმორმა რომ გადაარჩინა? სწორედ იუმორს უნდა უმადლოდეს ეპითეტ „დაღლილი ვირის“ ავტორი ნათელაშვილი, საზოგადოება რომ არ დაიღალა მისგან, უფრო სწორად, მისი იუმორისგან, თორემ მისი შეცდომებით რომ დაიღალა, სწორედ ამიტომაც აღმოჩნდა თამაშგარე მდგომარეობაში.

შეცდომები კი უხვად იყო მის პოლიტიკურ კარიერაში.

დუშელმა ყმაწვილმა ჯერ იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტში (1981 წ.), შემდეგ – სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური აკადემიის ასპირანტურა – საერთაშორისო სამართალში (1989 წ). კარიერის პირველი კიბეები გენპროკურატურაში აირბინა 1981 წლიდან 1992 წლამდე, იყო სტაჟიორი, შემდეგ გამომძიებელი, შემდეგ უფროსი პროკურორი, შემდეგ პარტკომი, საერთაშორისო განყოფილების უფროსი. თავი უკვე მწიფედ ჩათვალა პოლიტიკისთვის და პარლამენტარიც გახდა – დუშეთის მაჟორიტარი. იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე იყო 1992-95 წლების პარლამენტში, იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარეობა შემდეგი მოწვევის პარლამენტშიც უნდოდა, მაგრამ კოვზი ნაცარში პარლამენტის ახალმა თავმჯდომარემ ჩაუგდო და ამ პოსტზე მაშინ სრულიად უცნობი, აშშ-დან ჩამოყვანილი სააკაშვილი დანიშნა.

იმ დღიდან მოიძულა ჟვანიაცა და სააკაშვილიც. იმ დღიდან მოყოლებული არ დაუშურებია არც სკანდალური განცხადებები, არც მხილება, არც ეპითეტები. საკბილო რომ შემოელეოდა, ფანტაზიას აამუშავებდა. მახსოვს, ჯერ კიდევ 1998 წელი იყო, სკანდალი რომ ატეხა – ჟვანია ყავით აპირებდა ჩემს მოწამვლასო. ყავა თორემ, მისი აკვანი მრგვალ ბაღთან ირწეოდა, ნუ დალევდა იმ ყავას მაინცდამაინც ჟვანიასთან.

იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ვერა, მაგრამ თავმჯდომარე მაინც გახდა – თავად დააფუძნა პარტია და მას შემდეგ პარტიის თავმჯდომარეა. ნათელაშვილმაც და მისმა პარტიამაც, ვერ ვიტყვით, რომ ვერ მოიპოვა პოპულარობა ელექტორატში. ამის თქმის უფლებას, ელემენტარულად, ის პროცენტები არ მოგცემს, რომელსაც მისი პარტია იღებდა არჩევნებში, თუმცა 1999 წლის არჩევნებზე ლეიბორისტებმა ბარიერი ვერ გადალახეს – შალვა ნათელაშვილი წლების განმავლობაში ამტკიცებდა, რომ არჩევნები გაუყალბეს და ჟვანია-სააკაშვილმა არ შეუშვა ის პარლამენტში. რომელ ინსტანციაში არ იჩივლა, მაგრამ შალვა მაინც ვერაფერს გახდა. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ სასამართლოებში ჩივილი (შინ თუ გარეთ – სტრასბურგში) მისი სამარკო ნიშანია, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ იგი სასამართლოში მარტო საარჩევნო საკითხებზე არ ჩივის და მეტიც, სარგებელიც მოჰქონდა ხალხისთვის – „თელასს“ პროცესი მოუგო და ტარიფიც შეამცირებინა, კანონიც გააუქმებინა ფასიანი საშუალო განათლების შესახებ და ა.შ. ვერ ვიტყვით, რომ ელექტორატმა შალვას გარჯა არ დაუფასა, 2002 წლის თვითმართველობის არჩევნებში ისე გაიმარჯვა, რომ უმრავლესობა მოიპოვა, სწორედ გამარჯვებულმა დაუშვა საბედისწერო შეცდომა, რომლის შედეგებსაც დღემდე იმკის – ნაცვლად იმისა, რომ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე თავად გამხდარიყო, მოულოდნელად, საკრებულოს თავმჯდომარეობა სააკაშვილს დაუთმო. შალვა ნათელაშვილს ეს სვლა, ალბათ, დიდ საჭადრაკო სვლად ეჩვენებოდა, მაგრამ სწორედ ამით გაინაღდა „დეტსკი მატი“.

რატომ დაუთმო მაშინ ნათელაშვილმა სააკაშვილს საკრებულოს თავმჯდომარეობა? აიძულეს? როდის აქეთ იყო, რომ პირში წყალს იგუბებდა და არ ამბობდა? სანაცვლოდ, ფეშქაში რა მიიღო სააკაშვილისგან, როგორც მაშინ კულუარულად წერდნენ? მას ხომ ქრონიკულად ადანაშაულებენ მსგავს ოპერაციებში? თუ პასუხისმგებლობას გაექცა? ალბათ, უფრო ეს. საპარლამენტო არჩევნები მოდიოდა და კარგად იცოდა, რომ თუ თბილისში საქმე ჩაუფლავდებოდა, საპარლამენტო არჩევნებს წააგებდა და საკრებულოში ჩარჩებოდა. ალბათ, იმის იმედიც ჰქონდა, რომ სააკაშვილი სწორედ თბილისში ჩაფლავდებოდა და ორ კურდღელს დაიჭერდა — თან თვითონ ჩაფლავებას გადარჩებოდა და თან კონკურენტს ჩამოიშორებდა. სააკაშვილი არათუ არ ჩაფლავდა, პირიქით – ბერკეტები გაიძლიერა, ელექტორატმა კი ეს უკანდახევა არ აპატია ნათელაშვილს. დღეს რომ დგას და გულისმომკვლელად იხვეწება, ერთხელ მეც მანდეთ ქვეყანაო, მოვსინჯეთ ყველა, ყველამ დაგვაქცია, ახლა მეც მომსინჯეთო, როცა ანდეს დედაქალაქი, როცა მის მოსინჯვას აპირებდნენ, აცალა ხალხს დაჭაშნიკება?

2002 წელს დაშვებულ შეცდომას, 2003 წელს მორიგი შეცდომა დაამატა, სათოფეზე არ გაეკარა მაშინდელ ოპოზიციას – არც ჟვანიას, არც სააკაშვილს, მათთან თანამშრომლობას, ისევ ჯორბენაძესთან საიდუმლო ვიზიტები ამჯობინა, მეტიც, არჩევნების გაყალბების შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კარგად იცოდა, რომ არჩევნები გაყალბდა, რომ მის პარტიასაც გაუყალბეს არჩევნები და რეალურად, ბევრად მეტი აიღო, ვიდრე 12,5% იყო, არ შეუერთდა ვარდების რევოლუციას და რევოლუციამაც უთხრა — მეყოლე ვარდივითო. ამ შეცდომას მოჰყვა ის, რომ რევოლუციურ ტალღაზე ჩატარებულ არჩევნებში ბარიერი ვეღარც გადალახა – 6% მოაგროვა და გარეთ დარჩა, თუმცა ნათელაშვილის მტკიცებით, მისმა პარტიამ ბარიერი გადალახა, სტრასბურგშიც იჩივლა. შეცდომის გამოსწორება მოგვიანებით სცადა – 2007 წელს. ახლა უკვე სააკაშვილს რომ აუგორეს საპროტესტო დემონსტრაციები, კოალიციაში შევიდა 9 ოპოზიციურ პარტიასთან, მაგრამ მოვლენები მისთვის არცთუ სასიამოვნოდ წარიმართა, ცნობილი 7 ნოემბრის შემდეგ „შპიონაჟსა“ და მთავრობის დამხობის მცდელობას აბრალებდნენ, მაგრამ სააკაშვილმა ჯერ კიდევ გადადგომამდე მისცა გარანტია, რომ არ დააპატიმრებდნენ და შეძლებდა საარჩევნო კამპანიის თავისუფლად ჩატარებას. ასეც მოხდა, ნათელაშვილი გამოეთიშა კოალიციას და საკუთარი კანდიდატურა წამოაყენა. რა მოხდა, ისევ სააკაშვილმა „იყიდა“, როგორც მას ხშირად აძახებენ ხოლმე თუ, უბრალოდ, იგი არაა გუნდური მოთამაშე, მარტოხელა მგელია და სულ არ ეპიტნავებოდა „გრეჩხას“ გაპრეზიდენტება? რა აიღო შალვამ და რა დადო – ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ ის კი ვიცი და ნამდვილად მჯერა, რომ „გრეჩხასთვის“ მართლაც არ ემეტებოდა პრეზიდენტობა – თავისთვის უნდოდა. მისი მცდელობა კრახით დასრულდა, მხოლოდ 6,5% მოაგროვა. მარცხის მიუხედავად, ბედს არ შერიგებია, ბრძოლა განაგრძო და ოთხი თვის შემდეგ, საპარლამენტო არჩევნებში მისმა პარტიამ ბარიერიც გადალახა, მაგრამ რად გინდა? ისევ დანარჩენ პარტიებს აჰყვა და პარლამენტში არ შევიდა. ეს მის მიერ დაშვებულ მორიგ საბედისწერო შეცდომად იქცა. ამ ნაბიჯით ოპოზიციამ თავიც დაიღუპა და ნაცმოძრაობაც დაღუპა. მოკლედ, ალღო ხომ ღალატობს და იღბლის ამბავიც არის – აჰყვება დანარჩენ პარტიებს? წაგებული რჩება, არ აჰყვება – წაგებული რჩება.

ისეთი მარცხი კი, რაც ნათელაშვილის პარტიამ ბოლო არჩევნებზე ნახა, დაარსების დღიდან არ ახსოვს, 1,24%... მისმა დაშვებულმა შეცდომებმა და ქვეყანაში შექმნილმა ახალმა პოლიტიკურმა რეალობამ თავისი ქნა. ალბათ, გული უგრძნობდა კიდეც და ამიტომაც გადაემტერა ასე დანასისხლად ბიძინა ივანიშვილს. სწორედ ივანიშვილის სახით ახალი მოთამაშის გამოჩენამ დაახეთქა ასე მწარედ მიწაზე. არენაზე გამოსულმა დიდმა ფულმა, უფრო სწორად, ამ ფულით გაჩენილმა იმედებმა თავისი ქნა. ციხის კადრებმაც თავისი გაიტანა, ისეთი ამბავი ატყდა, აღარც ინგა ახსოვდა ვინმეს, აღარც მურტალო, აღარც შალვა და არც მისი მრავალჯერ ნასროლი ხელთათმანი და გადახერხილი მკერდი...

# რომელი პარტიები დააჯარიმა აუდიტის სამსახურმა და რამდენი ათასი ლარის გადახდა მოუწევს ნინო ბურჯანაძეს

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**წინასაარჩევნო მარათონის გახსნილად გამოცხადების შემდეგ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე პარტიები გააქტიურდნენ — ახალი ოფისების დაქირავება, პარტაქტივისტებისა და აგიტატორების მოძიება, გარერეკლამაზე ზრუნვა, სატელევიზიო რგოლების დამზადება, შეხვედრები ამომრჩეველთან... ეს ყველაფერი არჩევნების ბუნებრივი შესავალია. უბრალოდ, მოქმედი საარჩევნო კანონით, რომლის შეცვლით თავი ახალ მთავრობას სულაც არ შეუწუხებია, პარტიების ანგარიშზე არსებული თანხის მოძრაობის შესახებ ინფორმაცია სახელმწიფო აუდიტის სამსახურს ანუ კონტროლის პალატას წინასწარ უნდა ეცნობოს და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვაც უნდა წარედგინოს.**




ვინ ვინ და, ამის შესახებ გამოცდილმა პოლიტიკოსმა და პრეზიდენტობის ერთ-ერთმა პრეტენდენტმა, ნინო ბურჯანაძემ რომ ნამდვილად იცოდა, ალბათ, თავადაც არ უარყოფს. ამის მიუხედავად, მას მერე, რაც კონტროლის პალატის სპეციალურმა სამსახურმა პოლიტიკური სუბიექტების შემოწმება დაიწყო, ბურჯანაძის დემოკრატიულ მოძრაობას არაერთი დილეტანტური, თუმცა მსხვილი დარღვევა აღმოაჩნდა და დაჯარიმდა კიდეც. ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, აუდიტის სამსახური მხოლოდ ჩემს პარტიას ამოწმებსო, არადა, სხვა 5 პოლიტიკური გაერთიანებაც დაჯარიმდა.

ბურჯანაძის განცხადების ქვეტექსტიც არ იყო ძნელი გამოსაცნობი — აუდიტის სამსახური ოცნება-ნაციონალების შეთანხმებული დავალებით მოქმედებსო! პრეზიდენტობის კანდიდატმა არც ეს იკმარა და არაერთხელ დასძინა, რომ უსახსრობის გამო, წინასაარჩევნო კამპანიასაც კი ვერ აწარმოებს, თუმცა მთელი ქალაქის მასშტაბით გახსნილი ოფისებისა და გამოკრული ბილბორდების რაოდენობა, რბილად რომ ვთქვათ, სულ სხვა რამეზე მეტყველებს. კონტროლის პალატის წარმომადგენელმა სექტემბერში ბურჯანაძის ბრალდებებს საჯაროდ არაერთხელ უპასუხა, თუმცა „დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერი არც ამის შემდეგ გაჩერდა. **„ერთი რამ ფაქტია — აუდიტის სამსახურმა ჩვენი პარტიის შემოწმება ძალიან მასშტაბურად დაიწყო. არ მსმენია, რომ სხვა პარტიებსაც ასე ამოწმებდნენ. იყო თუ არა ეს პოლიტიკური შეკვეთა, ვერ გეტყვით. ეს აუდიტის სამსახურის დასკვნის შემდეგ გამოჩნდება. თავიდანვე განვაცხადე, რომ კონტროლის პალატა დამსჯელი ორგანო არაა და წესით, ისინი დარღვევას კი არ უნდა ელოდონ, რეკომენდაციები უნდა მოგვცენ",** — განაცხადა ბურჯანაძემ და კონტროლის პალატისთვის წარდგენილ დეკლარაციაში კვლავ ჯიუტად მიუთითა, რომ მისი პარტიის ანგარიშზე ერთადერთი ოფისია, ისიც თბილისში. არასწორად შევსებულ პირველ დეკლარაციას ხელი ვახტანგ ყოლბაიამ მოაწერა. კონტროლის პალატის საჯარო განცხადებებს სულ რომ თავი დავანებოთ, საპრეზიდენტო კანდიდატის ტყუილში გამოჭერა მისივე პარტიის ოფიციალური საიტიდან შეიძლება, სადაც დღესაც, ერთი კი არა, ცხრა მოქმედი ოფისის მისამართია მითითებული. ესენია: თბილისი — აბულაძის 8, თბილისი — ფალიაშვილის 15, აჭარა, ბათუმი — დ. თავდადებულის 33. იმერეთი, ქუთაისი — თამარ მეფის 8. სამეგრელო, ზუგდიდი — რუსთაველის 89. ქვემო ქართლი, რუსთავი — კოსტავას 10. შიდა ქართლი — კოორდინატორი კახა ღირსიაშვილი. კახეთი — კოორდინატორი ჯემალ ბაღათრიშვილი. გურია — სამხარეო ორგანიზაციის ხელმძღვანელი მანანა სალუქვაძე. 13 სექტემბრისთვის, აუდიტის სამსახურის არაერთი თხოვნა-მოთხოვნის მიუხედავად, ბურჯანაძის მიერ დეკლარირებული ოფისების რაოდენობა 1-დან 19-მდე გაიზარდა მაშინ, როცა სინამდვილეში, პარტიის სარგებლობაში გაცილებით მეტი, 72 ოფისი იყო; პარალელურად, გამუდმებით გვესმოდა საუბრები იმის შესახებ, რომ აუდიტის სამსახური თავს მხოლოდ „დემოკრატიულ მოძრაობას" ესხმის. შესაძლოა, ვიღაც მართლაც ფიქრობს, რომ ნინო ბურჯანაძეს ნაციონალები და „ოცნება" ერთმუშტად შეკრულნი ებრძვიან. მათი ეჭვების გასაქარწყლებლად, აუდიტის სამსახურმა ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და „ქართული ოცნების" მიერ შევსებული დეკლარაციები გამოაქვეყნა, სადაც სახელმწიფო აუდიტს ორივე პარტიამ პატივი დასდო და ფულადი აქტივებისა და ოფისების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა. გარდა ამისა, ცნობილი გახდა ისიც, რომ „ბურჯანაძესთან მებრძოლმა" აუდიტის სამსახურმა პარტიის ანგარიშიდან თანხის გაუფრთხილებლად გატანისა თუ საწევროს შენატანის შესახებ ინფორმაციის მიუწოდებლობის გამო სხვა პოლიტიკური პარტიებიც დააჯარიმა: მრეწველები, ევროპელი დემოკრატები, ახალი მემარჯვენეები, მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის და კომუნისტური პარტია. დაჯარიმებული პარტიის ლიდერები „ვერსიის" კითხვას — აპროტესტებენ თუ არა კონტროლის პალატის ჯარიმას, ასე პასუხობენ:

**ფიქრია ჩიხრაძე,** ახალი მემარჯვენეები: **„ეს ის ნორმაა, რომელიც შარშან შემუშავდა საარჩევნო კოდექსში და მიზნად პარტიებისთვის ხელ-ფეხის მაქსიმალურად შეკვრას ისახავდა. ჩვენ ელემენტარული შეცდომა დავუშვით, როგორც ამ არჩევნებში არამონაწილე პარტიამ, როცა ვიფიქრეთ, რომ ეს ნორმა არ გვეხებოდა. აღმოჩნდა, რომ გვეხება და ახლა, ცხადია, კანონს ვერ დავარღვევთ. კონტროლის პალატასთან პრეტენზია არ გვაქვს — პრეტენზია გვაქვს თავად უსამართლო, გაუგებარ კანონთან, რომლის შეცვლაც ხელისუფლებას შეუძლია და ევალება კიდეც; დღეს კი, კანონში ასე წერია, რაოდენ უსამართლოც უნდა იყოს ეს კანონი!"**

**სერგო ჯავახიძე,** მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის: **„ეს დარღვევა, დაახლოებით, ორი თვისწინანდელია და ცხადია, მის გაპროტესტებას არ ვაპირებთ. არაფერზე ვდავობთ, ეს ელემენტარული დარღვევა იყო და ჯარიმის გადახდასაც ვაპირებთ".**

კითხვაზე, რატომ არ ცვლის კანონს კოალიცია, უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი **ზურაბ ტყემალაძე** პასუხობს: **„თავად იმ პრინციპს, რომლის გამოც დავჯარიმდით, რა თქმა უნდა, არ ვიზიარებთ და იგი არასწორად მიგვაჩნია. პარტიები ყოველთვიურ დეკლარაციებში თანხას ისედაც მიუთითებენ და გაუგებარია, რა საჭიროა, დამატებითი შეტყობინებები; მეორე მხრივ, რაკი კანონში ასეთი მუხლია, რომელიც, სამწუხაროდ, ვერ გავითვალისწინეთ, დავჯარიმდით კიდეც. საქმე ისაა, რომ თავად ეს კანონია დასახვეწი და ცხადია, ეს ხელისუფლებამ ანუ ჩვენ უნდა გავაკეთოთ პარლამენტში მოქმედი ინტერფრაქციული ჯგუფის ფარგლებში".**

„ევროპელი დემოკრატების" წარმომადგენელმა ცესკოში, **გიორგი ხოკერაშვილმა** კი განაცხადა, რომ პარტიას 2 000-ლარიანი ჯარიმა უკვე გადახდილი აქვს და პარლამენტის ინტერფრაქციულ ჯგუფს ამ ნორმის ამოღებისა და ზოგადად, საარჩევნო კოდექსის გასწორების მოთხოვნითაც მიმართეს. როგორც ირკვევა, კონტროლის პალატასთან, რომელიც, ამ შემთხვევაში, უბრალოდ ცუდ თუ კარგ კანონს ასრულებს, დაჯარიმებულ პარტიებს პრეტენზიები არ აქვთ! აუდიტის სამსახურის ოფიციალურ გვერდზე იმ პარტიების ჩამონათვალიც მოცემულია, ვინც კანონის შესაბამისად, წლიური ანგარიშბრუნვა და ფინანსური დეკლარაცია წარმოადგინა: **ახალი მემარჯვენეები, დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო, ეროვნული ფორუმი, საქართველოს ევროპელი დემოკრატები, ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო, საქართველოს კონსერვატიული პარტია, საქართველოს ლეიბორისტული პარტია, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა, ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია, საქართველოს რესპუბლიკური პარტია, მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის, საქართველოს გზა, თავისუფალი დემოკრატები და თავისუფალი საქართველო.**

ამ პარტიებიდან არც ერთს, მათ შორის, არც დაჯარიმებულებს, თავში აზრად არ მოსვლიათ, კონტროლის პალატისთვის ანგარიშის ჩაბარება გაეპროტესტებინათ. სამაგიეროდ, მთელი ამ ხნის განმავლობაში შფოთავდა ნინო ბურჯანაძე, რომელიც აუდიტის სამსახურმა 9 და 13 სექტემბერს ექსკლუზიურად გააფრთხილა. როგორც „ვერსიამ" გაარკვია, ამ გაფრთხილებების შემდეგ, კონტროლის პალატამ იმდენს მაინც მიაღწია, რომ 25 სექტემბერს ჩაბარებულ ბოლო დეკლარაციაში ბურჯანაძის ოფისების რაოდენობა, რატომღაც, 1-დან 98-მდე გაიზარდა. როგორც ჩანს, „უსახსრო" ქალბატონმა გვარიანი თანხის მოძიება მაინც მოახერხა, რაკი დედაქალაქისა და რეგიონების მასშტაბით ასეთი სერიოზული წარმომადგენლობა აქვს. სავარაუდოდ, იაფი არც გარერეკლამა დაჯდებოდა — ბოლო დღეებში, ვისაც ქალაქში გაუვლია, გიორგი მარგველაშვილზე მეტ თუ არა, ნაკლებ საარჩევნო ბილბორდს ნამდვილად არ მოუთვლიდა კანდიდატს. ბურჯანაძის უზარმაზარი „პლაკატები" უხვადაა გამოკრული საზოგადოებრივ ტრანსპორტზეც. ეს ყველაფერი კი ასეთი თვალშისაცემი არ იქნებოდა, რომ არა მისი გამუდმებული წუწუნი უფულობასა და პოლიტიკურ დევნაზე! თუმცა ყველაფერი არც ამით დასრულებულა — მას მერე, რაც დეკლარაციების ჩაბარების ბოლო ვადა ანუ 25 სექტემბერი გავიდა, ბურჯანაძის ანგარიშზე, თურმე, მაინც 10 აღურიცხავი ოფისია. ამის შესახებ „ვერსიას" **აუდიტის სამსახურში არსებული პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის უფროსმა ზურაბ აზნაურაშვილმა** განუცხადა, რომელსაც წინასაარჩევნოდ, პარტიებში არსებული ზოგადი მდგომარეობის გასარკვევად დავუკავშირდით:

*დასასრული მე-8 გვერდზე*

## ვერსიანიუსი

### 2013 წლის სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით, -0,1%-იანი ინფლაციაა



2013 წლის სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით, საქართველოში ინფლაციის დონემ -0,1% შეადგინა. „საქსტატის" მონაცემებით, ფასების დონის ცვლილებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მთავრობის მიერ სამშობიარო მომსახურების სუბსიდირებამ, რომელიც მშობიარობაზე 500-ლარიანი სახელმწიფო დაფინანსების შემოღებას ითვალისწინებდა: **„აღსანიშნავია ფასების ცვლილება სამომხმარებლო საქონლის და მომსახურების შემდეგ ჯგუფებზე სექტემბრის ინფლაციასთან მიმართებაში. ჯანმრთელობის დაცვა — მოცემულ ჯგუფში ფასები შემცირდა 8,9%-ით, რაც თვის ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში -0,82 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასების მნიშვნელოვანი კლება დაფიქსირდა საავადმყოფოების მომსახურებაზე (-27,2%). სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფზე ფასი გაიზარდა 1,4%-ით, რომლის წვლილმაც სექტემბრის ინფლაციაში 0,42 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასის მნიშვნელოვანი მატებით გამოირჩევა შემდეგი ქვეჯგუფები: ხილი და ყურძენი (10,4%), ბოსტნეული და ბაღჩეული (4,3%), რძე, ყველი და კვერცხი (3,9%)".**

2013 წლის სექტემბერში, 2012 წლის სექტემბერთან შედარებით, ინფლაციის დონემ საქართველოში -1,3% შეადგინა.

12-თვიან პერიოდში აღნიშნული მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა მოახდინა ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე: ტრანსპორტის ჯგუფში შემავალ საქონელზე (მომსახურებაზე) ფასი შემცირდა 4,9%-ით, რამაც წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე უარყოფითი გავლენა -0,65 პროცენტული პუნქტის დონეზე მოახდინა. ამ ჯგუფში ფასის კლება დაფიქსირდა სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (-9,5%) და პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლოატაციაზე (-6,2%).

ჯგუფში ჯანმრთელობის დაცვა, ფასები შემცირდა 5,9%-ით. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში -0,53 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასებმა დაიკლო საავადმყოფოების მომსახურებაზე (-26,8%). ამასთან, ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების ფასები 10,3%-ით გაიზარდა.

სურსათისა და უალკოჰოლო სასმელის ჯგუფში შემავალ საქონელზე (მომსახურებაზე) ფასები შემცირდა 1,6%-ით, რაც წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე -0,52 პროცენტული პუნქტი წვლილით აისახა. ფასებმა მნიშვნელოვნად დაიკლო შემდეგ ქვეჯგუფებზე: შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (-7,1%), თევზეული (-5,5%), ხორცი და ხორცის პროდუქტები (-3,0%). ამასთან, ფასები გაიზარდა ყავის, ჩაისა და კაკაოს ქვეჯგუფზე (3,4%).

*„ვერსიანიუსი"*

# „ნაფიცი მსაჯულები სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფის შიშის ქვეშ აღმოჩნდნენ — ასეთი რამ არ მომხდარა არც საქართველოში და არც დედამიწის ზურგზე, არც ერთ სასამართლოში!“

ნინო შათირიშვილი

**ბიზნესმენ ავთანდილ ადუაშვილის მკვლელობა ქართულ რეალობაში ერთ-ერთი სკანდალური და კითხვის ნიშნებით სავსე აღმოჩნდა. გარდა იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში არცთუ ისე ხშირია შეკვეთილი მკვლელობა, ეს შემთხვევაც არ იქნებოდა ისეთი სკანდალური, რომ არა ერთი საინტერესო ფაქტი: მკვლელობის გახსნიდან რამოდენიმე დღეში, მედიისთვის ცნობილი გახდა, რომ მკვლელობაში ბრალდებულთაგან ერთი – ვახტანგ ჩხაპელია ცნობილი მომღერლის – სოსო პავლიაშვილის სიძე იყო, ხოლო დაზარალებულის ოჯახი მკვლელობის დამკვეთად თავად სოსო პავლიაშვილს ასახელებდა. ნაფიცმა მსაჯულებმა ვერდიქტი უკვე გამოიტანეს, მოსამართლემ – განაჩენი. რა კავშირი ჰქონდა ცნობილ მომღერალს ბიზნესმენ ადუაშვილთან, რას ამტკიცებს დაზარალებული მხარე და რა პოზიცია აქვთ უკვე მსჯავრდებულთა ადვოკატებს.**



## ადუაშვილის მკვლელობის სასამართლო განხილვა და ნაფიცი მსაჯულების ვერდიქტი

### რა მოხდა ვაკეში 2012 წლის გიორგობის დღესასწაულზე?

2012 წლის 23 ნოემბერს, ზაზიაშვილის ქუჩაზე ბიზნესმენი ავთანდილ ადუაშვილი საკუთარ „მერსედესის“ მარკის მანქანაში ჩაცხრილული იპოვეს. საქმე დიდხანს გაუხსნელი იყო, ვრცელდებოდა უამრავი ვერსია, დაწყებული – ბიზნეს-საქმიანობიდან, დამთავრებული – პირადი შურისძიებით. რამოდენიმე თვის შემდეგ სამართალდამცავებმა მკვლელობაში ბრალდებული რამდენიმე პირი დააკავეს – ვახტანგ ჩხაპელია, გელა უბილავა, კობა ყურუა და ვლადიმერ ქარჩავა. ბრალის ფორმულირება შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

2012 წლის ოქტომბერში ვახტანგ ჩხაპელიამ გელა უბილავას შეუკვეთა ავთო /ანტონ/ ადუაშვილის მკვლელობა, რის სანაცვლოდაც, 50 000 აშშ დოლარი შესთავაზა. გელა უბილავას ორგანიზებით, ჯგუფურად, წარსულში დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობისთვის მსჯავრდებულმა კობა ყურუამ და ვლადიმერ ქარჩავამ ანტონ ადუაშვილის განზრახ მკვლელობა განახორციელეს. კერძოდ, 2012 წლის 23 ნოემბერს, ხსენებული პირები ჩაუსაფრდნენ თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა 38-თან, კაფეში მყოფ ანტონ ადუაშვილს. დაახლოებით, 18:50 საათზე ამ უკანასკნელს მანქანაში ჩაჯდომისთანავე, თავს დაესხნენ კობა ყურუა და ვლადიმერ ქარჩავა. კობა ყურუამ მას მუხლის არეში დანით ჭრილობები მიაყენა, რის შემდეგაც ვლადიმერ ქარჩავას დახმარებით, დაჭრილი ანტონ ადუაშვილი გადაათრიეს უკანა სავარძელზე და გაემართნენ ზაზიაშვილის ქუჩის მიმართულებით. გადაადგილებისას, ვლადიმერ ქარჩავამ გელა უბილავასგან წამოღებული „მაკაროვის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღიდან რამოდენიმეჯერ ესროლა ანტონ ადუაშვილს, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა. მკვლელობის ჩადენის შემდეგ კობა ყურუა და ვლადიმერ ქარჩავა დაეუფლნენ ანტონ ადუაშვილის სახელზე რეგისტრირებულ „ბერეტას“ სისტემის ცეცხლსასროლ იარაღს, სხვა პირად ნივთებს და დანაშაულის ადგილიდან მიიმალნენ. 2012 წლის 24 ნოემბერს გელა უბილავამ ვახტანგ ჩხაპელიასგან, შეთანხმებისამებრ, მიიღო გასამრჯელო, რაც იმავე დღეს გაუნაწილა შემსრულებლებს – კობა ყურუასა და ვლადიმერ ქარჩავას, თითოეულს 16 500 აშშ დოლარის ოდენობით. ძალიან მალე, ადუაშვილის ნათესავებმა მკვლელობის შემკვეთად მომღერალი სოსო პავლიაშვილი დაასახელეს, ხოლო მოტივად – მისი და ადუაშვილის საერთო ბიზნესინტერესები სომხეთსა და კიევში.

### მსჯავრდებულთა ადვოკატები ზეწოლაზე საუბრობენ

ანტონ ადუაშვილის მკვლელობის საქმე, როგორც განზრახ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი, ნაფიცმა მსაჯულებმა განიხილეს.

— ეს იყო ძალადობით, ზეწოლითა და შანტაჟით მიღებული გადაწყვეტილება, – ასე შეაფასა „ვერსიასთან“ საუბარში მიღებული ვერდიქტი კობა ყურუას ადვოკატმა **დავით მოდებაძემ**, — ნაფიცმა მსაჯულებმა აღიარეს, რომ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის ჩვენება იყო ზუსტი და უტყუარი, რომ მასზე ზეწოლა განხორციელდა, რათა დაებრალებინა დანაშაული.

**ყურუა ფოთში დააკავეს. როდესაც სასამართლო პროცესზე საქმის გამომძიებელი დაიკითხა, ჩვენ ის გამოვიჭირეთ მის მიერ მიცემულ ჩვენებებში, რომ ნარკოტიკული საშუალება ყურუას არ ჰქონია და ჩაუდეს, რადგან ეგონათ, მოსალოდნელი სასჯელის შიშით, იგი დაიბრალებდა დანაშაულს და შემდეგ საპროცესო შეთანხმებას გაუფორმებდნენ.**

ნაფიცმა მსაჯულებმა 10/2-ის წინააღმდეგ გამოიტანეს გამამართლებელი ვერდიქტი, ასევე მათ ყველა ბრალდებულს მოუხსნეს იარაღის შეძენა-შენახვის ბრალდება.

**— თუ ეს ბრალდება მოიხსნა, მაშინ მკვლელობის ბრალიც ეჭვქვეშ დადგებოდა...**

— პროკურატურა ამტკიცებდა, რომ ადუაშვილი თავისივე მანქანაში იყო ჩაცხრილული. ნაფიცმა მსაჯულებმა თქვეს, რომ მათ იარაღი არ ჰქონიათ... შესაბამისად, მოხდა ის, რომ როდესაც ნაფიცმა მსაჯულებმა 3 საათში ვერ მიიღეს გადაწყვეტილება, მოსამართლემ მათ კიდევ 6 საათი მისცა ვადა. მოხდა ისე, რომ 6-საათიანი მსჯელობის შედეგადაც ვერ გამოიტანეს ვერდიქტი. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ხმები შუაზე გაიყო – ერთნი ამტკიცებდნენ, რომ ბრალდებულები დამნაშავეები იყვნენ, ხოლო მეორენი – მათ უდანაშაულობაში იყვნენ დარწმუნებულნი. თქვენთვის – „ვერსიის“ წარმომადგენლისთვის საინტერესოა, რომ იქ ორი ვერსია ჩამოყალიბდა – პროკურატურისა და ბრალდებულების, რომელიც ადვოკატებს არ შეუთხზავთ. ეს გახლდათ ბრალდებულების გულწრფელი აღიარება და ჩვენება, რომელიც უტყუარად მიიჩნიეს ნაფიცმა მსაჯულებმა. როდესაც ისინი 6 საათის მსჯელობის შემდეგ დარბაზში გამოვიდნენ, უკვე ღამის 1 საათი იყო. მთავარი მსაჯულის მიმართ მოსამართლის შეკითხვაზე – მიიღეს თუ არა გადაწყვეტილება, პასუხი იყო – ვერა! ამ შემთხვევაში, კანონი ნაფიც მსაჯულებს კიდევ 3 საათს აძლევს, თუმცა საქმის მონაწილე ორივე მხარისთვის და მოსამართლისთვისაც ცხადი იყო, რომ ნაფიცი მსაჯულები გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდნენ. პროკურატურამ საქმე პირწმინდად წააგო. ჩვენ შევძელით დაგვემტკიცებინა ნაფიცი მსაჯულებისთვის, რომ ბრალდების ვერსია უვარგისი, შეთხზული და გამოგონილი იყო, პროკურატურა მხოლოდ ეჭვებსა და ვარაუდს ეყრდნობოდა და არანაირი უტყუარი მტკიცებულება არ არსებობდა. როდესაც გამთენიისას, 5 საათზე დაღლილი, უძილო და გაუბედურებული ნაფიცი მსაჯულები გამოვიდნენ, მათ კატეგორიულად გამოაცხადეს, რომ ვერდიქტი ვერ გამოაქვთ! ეს იმას ნიშნავს, რომ 8 ნაფიცი მსაჯული ვერ გამოიძებნა ვერც გამამტყუნებელი და ვერც გამამართლებელი განაჩენისთვის. უნდა ვივარაუდოთ, რომ ხმები 6/6-ის წინააღმდეგ გაიყო.

**— ამის შემდეგ დარბაზში ვითარება არცთუ სახარბიელო იქნებოდა... რა მოხდა შემდეგ?**

— დარბაზი გაივსო პროკურორებით, რაიონის პროკურორებით, სტაჟიორებით... ყველანი მიხვდნენ, რომ საქმე წაგებული ჰქონდათ... დაზარალებულები დარწმუნებულნი იყვნენ პროკურატურის ვერსიის სიმართლეში, ბრალდებულების ვერსია მათთვის ზღაპარი იყო, ხოლო ნაფიცი მსაჯულებისთვის ეს ვერსია ზღაპარი კი არა, რეალობა აღმოჩნდა! რა მოხდა შემდეგ? – მოსამართლის მხრიდან გაჩნდა აგრესია და ნაფიც მსაჯულებს უთხრა, რომ კიდევ 1 საათს აძლევდა მოსაფიქრებლად! როდესაც ნაფიცი მსაჯულები წამოდგნენ და გადიოდნენ სათათბირო ოთახში, დარბაზში ატყდა ერთი ამბავი დაზარალებულის მხრიდან...

**პრაქტიკულად, ნაფიცი მსაჯულები აღმოჩნდნენ შიშის ქვეშ, ეს შიში იყო მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფა, თუ ისინი არ გამოიტანდნენ გამამტყუნებელ განაჩენს! ასეთი რაღაც არ მომხდარა არც საქართველოში და არც დედამიწის ზურგზე არც ერთ სასამართლოში, არსად! ერთი საათის მერე გამოვიდნენ გაშავებული ნაფიცი მსაჯულები და გამოიტანეს გამამტყუნებელი ვერდიქტი რვა ოთხის წინააღმდეგ!**

როგორ გგონიათ – დილის 10 საათზე დაიწყო პროცესი, ასე მიმდინარეობდა მთელი 8 დღის განმავლობაში, ყოველ დილით, დილის 8 საათზე ვიწყებდით და საღამოს 6 საათზე ვამთავრებდით... ასეთ დროს მოსამართლეს უფლება აქვს, დაითხოვოს ნაფიცი მსაჯულების შემადგენლობა და აირჩიოს ახალი, მაგრამ მოსამართლემ ეს არ გააკეთა — ყველა ბრალდებულის მიმართ პატიმრობის თითქმის 8 თვე იყო გასული, 9 თვის თავზე, განაჩენის გამოუტანლობის შემთხვევაში, ყველა დაუყოვნებლივ უნდა გაეთავისუფლებინათ! თუ ახალ შემადგენლობას აირჩევდნენ, ყველა ბრალდებული გარეთ აღმოჩნდებოდა!

ერთ-ერთ ბრალდებულს, რომელიც ნარკოტიკებსა და იარაღშიც გაამართლეს ნაფიცმა მსაჯულებმა, პატიმრობის ვადა გასდიოდა 7 სექტემბერს. დარჩენილი იყო, დაახლოებით, 10 დღემდე. როდესაც პროკურატურისთვის ცნობილი გახდა, რომ შესაძლებელი იყო, ეს პიროვნება გარეთ აღმოჩენილიყო და აღმკვეთი ღონისძიება შეცვლილიყო, ამ პატიმარს შემთხვევით საკანში „აღმოაჩნდა“ აკრძალული ნივთი, ეგრეთ წოდებული ბრიტვა, მოიყვანეს და აღმკვეთი ღონისძიება კიდევ ცალკე შეუფარდეს! აი, ასეთი ბინძური მეთოდებით გვებრძოდა პროკურატურა!

ჯერ მადლობა გადავუხადე ნაფიც მსაჯულებს და მაშინვე განვუცხადე პროკურატურას, რომ ყველა მისი სიტყვა იყო ყალბი და ფლიდი, სასამართლოს ვუთხარი, რომ არ ვითხოვდი სასჯელის შემსუბუქებას. მოსამართლემ ყველა მათგანზე გამოტანა 20-წლიანი განაჩენი. ეს გადაწყვეტილება იყო იძულებითი, შანტაჟითა და მუქარით მიღებული. ეს არ იყო ვერდიქტი!

**— რაც შეეხება სოსო პავლიაშვილს, როგორც მკვლელობის შემკვეთს...**

— ნამდვილად არის თუ არა პავლიაშვილი ამ მკვლელობის შემკვეთი, ეს მხოლოდ ვერსიაა და ვერსიად რჩება!

## ვერსიანიუსი

### შსს-მ პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე ორი პირი დააკავა



თბილისის მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორების სამმართველოს თანამშრომლებმა თბილისში, ქინძმარაულის ქუჩაზე მდებარე სასტუმრო ,,მწვანე სასტუმროს“ მესაკუთრე, 1982 წელს დაბადებული თამარ ყ. და ამავე სასტუმროს ადმინისტრატორი, 1976 წელს დაბადებული თამარ მ. პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ბრალდებით დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები, გასამრჯელოს სანაცვლოდ, ქალბატონებს პროსტიტუციისთვის ადგილს უთმობდნენ. სამართალდამცველებმა სასტუმროში მომუშავე ქალბატონები მოწმის სახით დაკითხეს. გამოძიება პროსტიტუციისთვის ადგილის გამოყოფის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 254-ე მუხლით).

*„ვერსიანიუსი“*

### არაბული ლიგის დელეგაცია საქართველოში წინასაარჩევნო ვითარებას აფასებს



შინაგან საქმეთა სამინისტროში არაბული ქვეყნების ლიგის დელეგაციასთან შეხვედრა გაიმართა. შს სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსმა, თამარ ტალიაშვილმა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორმა შალვა კვინიხიძემ სტუმრებს სამინისტროში განხორციელებული რეფორმები და სამომავლო გეგმები გააცნეს. განიხილეს არჩევნების პერიოდში ადამიანის უფლებების დაცვის, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის საკითხები. სტუმრები ასევე გაეცნენ მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ „არჩევნების პერიოდში უწყების მოსამსახურეთა სახელმძღვანელო ინსტრუქციას“, რომელიც ამ პერიოდში პოლიციელთა უფლება-მოვალეობებს, კანონით დადგენილ აკრძალვებსა და შეზღუდვებს განსაზღვრავს. არაბული ქვეყნების ლიგა 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მოვლინებას გეგმავს და მიმდინარე ვიზიტის მიზანია წინასაარჩევნო ატმოსფეროს შეფასება.

*„ვერსიანიუსი“*

მე-6 გვერდიდან

— **ფინანსური შემოწმების შედეგად უკვე 5 პარტია დაჯარიმდა — ამის მიზეზი კონკრეტულად რა გახდა?**

— 4 პარტიის დაჯარიმების მიზეზი ის იყო, რომ საკუთარი ანგარიშიდან ნაღდი ფულის გატანის შესახებ არ შეგვატყობინეს — დაირღვა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინფორმირების ვალდებულება, ხოლო კონტროლის პალატის მოთხოვნით ინფორმაციის წარმოუდგენლობა 2 000-ლარიან ჯარიმას ითვალისწინებდა. მეხუთე, კომუნისტური პარტიის დაჯარიმების მიზეზი კი საწევრო შენატანის ანუ შემოსავლის მიღების შესახებ ჩვენი ინფორმირება გახდა. როცა ეს დარღვევა განმეორდა, სასამართლოს მათი 5 000 ლარით დაჯარიმების შესახებ მხოლოდ ამის შემდეგ მივმართეთ.

— **დააჯარიმეთ კიდევ ერთი პარტია — ბურჯანაძის დემოკრატიული მოძრაობა, რომელმაც განაცხადა, რომ ოცნება-ნაციონალების ერთობლივ დაკვეთას ასრულებთ და მხოლოდ მას ამოწმებთ. რა მოხდა ამ პარტიის შემთხვევაში?**

— დარღვევაა პარტიის მიერ ფართების შესახებ ინფორმაციის არმიწოდება. არჩევნების გამოცხადების დღიდან ანუ ივლისის მერე, ნინო ბურჯანაძემ სხვადასხვა რეგიონში საარჩევნო შტაბები გახსნა. ამის შესახებ დეტალებს პარტია საკუთარ საიტზეც ათავსებდა. მათ მიერ პირველ სექტემბერს წარმოდგენილ დეკლარაციაში კი მხოლოდ ერთი, თბილისში არსებული ოფისის შესახებ იყო მითითებული. როცა ამ ოფისების შესახებ ინფორმაციას ვამოწმებდით, თავად ამ პარტიის საიტზე აღმოვაჩინეთ, რომ ერთი კი არა, 9 ოფისი ჰქონიათ. იმავდორულად, გორსა და ბათუმში დამატებით ახალი ოფისებიც იხსნებოდა და ჩვენთვის ამის შესახებ ინფორმაცია არავის მოუწოდებია. 9 სექტემბერს, საჯაროდ, სხვა პარტიებთან ერთად, ნინო ბურჯანაძესაც მივმართეთ. ჩვენი განცხადებები და მოქმედებები პრევენციული ხასიათისა იყო, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ ბურჯანაძის პარტიამ 1-ის ნაცვლად, უკვე 19 ოფისი დაადეკლარირა. თუმცა აღმოჩნდა, რომ მათ დაახლოებით, 90 ოფისი გაუხსნიათ. რა ვქნათ, აბა, ბურჯანაძე მაინც წუწუნებს, ფული არ მაქვსო! 13 სექტემბერს ჩვენ მისი პარტიის თბილისის ოფისების წარმომადგენლებსაც შევხვდით და ამის შემდეგ პარტიამ დეკლარაციაში უკვე 72 ოფისის შესახებ მიუთითა. დეკლარაციის შევსების უკანასკნელი ვადა 25 სექტემბერს იწურებოდა, მათ საბოლოო ინფორმაცია 98 ოფისის შესახებ წარმოადგინეს, თუმცა დღეს სხვა მდგომარეობაა — ვიცით, ნინო ბურჯანაძეს, რეალურად, 108 ოფისი აქვს ანუ 10 ოფისი დეკლარაციაში შეტანილი კვლავ არ არის!

## ნინო ბურჯანაძემ მხოლოდ საარჩევნო ბილბორდებში 260 ათას ლარზე მეტი დახარჯა

— **ანუ ეს ყველაფერი, ტექნიკურად, რა ტიპის დარღვევაა და კანონით, რა ოდენობის ჯარიმას ითვალისწინებს?**

— ჯერ ერთი, საინტერესოა ის, რომ მისი ოფისების რაოდენობა მხოლოდ ჩვენი განცხადებების შემდეგ იზრდება; ფაქტია, არაერთი ზეპირი, წერილობითი და საჯარო გაფრთხილების შემდეგაც კი, ნინო ბურჯანაძის პარტიის ოფისების შესახებ სრული ინფორმაცია მაინც არ გვაქვს. ოფისები, ძირითადად, არაფულად შემოწირულობათა რიცხვში ირიცხება, ხოლო ამ შემოწირულობის მიღებიდან 5 დღის ვადაში, კანონით პარტიამ ეს ინფორმაცია უნდა მოგვაწოდოს — მათი მხრიდან კი ეს 5-დღიანი ვადაც დარღვეულია. რამდენიმე ოფისის შესახებ ბურჯანაძემ იჯარის ხელშეკრულება წარმოადგინა და ამის საშუალებას კანონი მას ნამდვილად აძლევს. აქ პრობლემა იმ ოფისებშია, რომლებზეც ინფორმაცია საერთოდ არ წარმოუდგენიათ, თუმცა დარწმუნებულები ვართ, რომ იჯარით არ აქვთ აღებული და ამ მისამართებზე მათი შტაბი ივლის-აგვისტოში არ ფუნქციონირებდა. რაც შეეხება დარღვევის ტიპს — იგი შეიძლება უკანონო შემოწირულობის ან შემოწირულობათა დამალვის მუხლში მოექცეს, ხოლო ჯარიმა დამალული ღირებულების ორმაგ ოდენობას ითვალისწინებს. სავარაუდოდ, ჯარიმის თანხა რამდენიმე ათას ლარზე ავა. ჯამში, დამალული 10 ოფისიდან ზოგიერთის ღირებულება 1000 ლარია, ზოგიერთისა — 500. ჯერჯერობით, ჯარიმის ზუსტი თანხა არ ვიცით. ახლა სამხარაულის ექსპერტიზის დასკვნას ველით, რათა ოფისების ღირებულება დავადგინოთ. ექსპერტიზის ჩატარება სწორედ იმ ოფისებში მოვითხოვეთ, რომელთა შესახებ ქალბატონ ნინოს ინფორმაცია საერთოდ არ წარმოუდგენია.

— **ალბათ, თვალში ყველას ხვდება ქალაქში გამოკრული წინასაარჩევნო ბილბორდები და პლაკატები, ასევე, რეკლამები საზოგადოებრივ ტრანსპორტზე — ხარისხითა და რაოდენობით კვლავ ნინო ბურჯანაძე გამოირჩევა. გარერეკლამაში დახარჯული თანხების შესახებ თქვენთვის უკვე თუა ცნობილი?**

— რა თქმა უნდა, წინასაარჩევნო რეკლამის საკითხის შესწავლაც ჩვენს სამსახურს ეხება. ბურჯანაძის მიერ ბოლო, 25 სექტემბრის დეკლარაციაში სარეკლამო ხარჯებში საკმაოდ დიდი თანხაა წარმოდგენილი — გეტყვით, რომ საქმე, დაახლოებით, 260 000 ლარს ეხება. მას წინასაარჩევნო რეკლამაში, ამ სამთვიან პერიოდში 260 000 ლარზე მეტი აქვს დახარჯული!

სხვა დაჯარიმებული პარტიების მსგავსად, „ვერსიამ“ პოზიციის დაფიქსირება ნინო ბურჯანაძის პარტიასაც სთხოვა. ორდღიანი ლოდინის შემდეგ კი დემოკრატიული მოძრაობის პრესსამსახურის უფროსმა **ბაკურ ბაკურაძემ** სიტყვასიტყვით ასე გამოგვიცხადა — **„კომენტარი არ იქნება!“**

# „თუ ბიძინა ივანიშვილმა ხალხს იმედი გაუცრუა, ხალხი აუცილებლად აფეთქდება“

### რაში არ ეთანხმება პრემიერს და რა კითხვები აქვს ალასანია-უსუფაშვილთან ნათელა მაჭავარიანს



რუსუდან შელია
557-100-768

**მას შემდეგ, რაც თბილისის საკრებულომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეებისთვის პენსიისა და სოციალური დახმარების მოხსნის გადაწყვეტილება მიიღო, თბილისის ყველა რაიონის ამხანაგობების ორგანიზებით, საკრებულოს შენობის წინ აქცია გაიმართა, რომელიც მალევე დაპირისპირებაში გადაიზარდა. საკრებულოს ახლადარჩეულმა თავმჯდომარემ, ირაკლი შიხიაშვილმა განმარტა, რომ ამხანაგობების თავმჯდომარეები სუბიექტური გადაწყვეტილებით ფინანსდებოდნენ და სახელმწიფო ბიუჯეტი პარტიულ აქტივს ხმარდებოდა. პარტია „საქართველოს გზისა“ და თბილისის საკრებულოს წევრი ნათელა მაჭავარიანი „ვერსიასთან“ აღნიშნული გადაწყვეტილების მიზეზებს განმარტავს და ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებსაც აფასებს.**

— ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეები, ნაციონალური მოძრაობის სუბიექტური გადაწყვეტილებით, დაფინანსებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებდნენ. საუბარია საკმაოდ სოლიდურ თანხებზე, რისი გამოყოფაც, საკრებულოს უმრავლესობამ მიზანშეუწონლად მიიჩნია და შესაბამისად, ამ ადამიანებს დაფინანსებაც მოუხსნა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მომავალში, საკრებულო კორპუსების გარემონტებასა და რეაბილიტაციაზე არ იზრუნებს. პირიქით, მსგავსი საკითხები პროგრამაში რჩება, უბრალოდ, ახლა სხვა პრიორიტეტები განისაზღვრა. კერძოდ, ჯერ ის სახლები უნდა გარემონტდეს, რომლებიც წინა ხელისუფლების უყურადღებობის შედეგად დანგრევის პირასაა. ფაქტია, რეალურად, ეს თანხები ნაციონალური მოძრაობის პარტიული ინტერესებისთვის გამოიყენებოდა, რასაც არ დავუშვებთ. საკრებულოში დღეს ვითარება რადიკალურად შეცვლილია.

— **დაფინანსების შეწყვეტის გარდა, კიდევ რა შეიცვალა რადიკალურად მას შემდეგ, რაც ნაციონალური მოძრაობა უმცირესობაშია და საკრებულოს თავმჯდომარედ ირაკლი შიხიაშვილი მოგვევლინა?**

— მხოლოდ ორი თვეა, რაც საკრებულოში საკადრო ცვლილებები განხორციელდა, ამიტომ ძირითად ცვლილებად, ამ ეტაპზე, მხოლოდ პოლიტიკური ნების შეცვლას დავასახელებ. პირადად მეც ვხვდები იმ მოქალაქეებს, რომლებსაც ჩვენი დახმარება სჭირდება, შემდეგ კი მათ ნაამბობს შესაბამის ორგანოებში ვანაწილებ. რევიზორი ნამდვილად არ ვარ და არ მოვიტყუები, რომ შეხვედრების შემდეგ ვამოწმებ, რეალურად, რა გაკეთდა მოქალაქეებისთვის, მაგრამ მაქსიმუმს ვაკეთებთ, რათა თბილისელებს ცხოვრების უკეთესი პირობები შევუქმნათ.

— **საკრებულოს მუშაობის მიმართ კრიტიკული არ ხართ, „საქართველოს გზა“ ფრაქცია „ქართულ ოცნებას“ შეუერთდა, თუმცა არაფერს ამბობთ თქვენი პარტიის საპატიო ლიდერ სალომე ზურაბიშვილზე, რომელსაც სწორედ კოალიცია „ქართული ოცნების“ მმართველობის პირობებში, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ მიეცა. რატომ?**

— პირველ რიგში, განვმარტავ, რომ ფრაქცია „ქართული ოცნება-თბილისელები“ შეიქმნა ხელისუფლების ცვლილებიდან მოკლე პერიოდში, როდესაც „ქართულ ოცნებას“ „საქართველოს გზის“ სრული მხარდაჭერა ჰქონდა — ბიძინა ივანიშვილმა ბოლო ცხრა წლის განმავლობაში დამყარებული ავტორიტარული რეჟიმი შეცვალა. თანაც ფრაქცია „ქართულ ოცნებასთან“ მხოლოდ ტექნიკურ საკითხებში ვთანამშრომლობთ, რაც იმას არ ნიშნავს, რომ იდეოლოგიურად ერთმანეთს სრულად ვეთანხმებით. ამასთან, მომავალში, თანამშრომლობის ეს ფორმებიც დასაზუსტებელია. „საქართველოს გზა“ საკრებულოში დამოუკიდებლად მოქმედებს და ერთი მანდატითაა წარმოდგენილი, ნამდვილად არ ვაპირებ საკრებულოს უმრავლესობის ან უმცირესობის ნებისმიერ ინიციატივას, რომელიც თბილისისა და თბილისელებისთვის საზიანო იქნება, მხარი დაუჭირო. რაც შეეხება სალომე ზურაბიშვილს, როგორ შეიძლება ცესკო-ს გადაწყვეტილებას დავეთანხმო, როცა მსგავსი გამოცდილების მქონე პოლიტიკოსს არჩევნებში მონაწილეობაზე უარს ეუბნებიან?! სალომეს ქართველი ხალხი და სამშობლო უზომოდ უყვარს, ამიტომ ხელისუფლების მსგავსი დამოკიდებულება მის მიმართ, კითხვებს ბადებს; მით უმეტეს, როცა გამოცდილი ადვოკატები და არასამთავრობო ორგანიზაციები ამტკიცებდნენ, რომ მას არჩევნებში მონაწილეობის უფლება კანონის შესაბამისად ჰქონდა. ფაქტია, სალომე ზურაბიშვილის სახით ძლიერი კონკურენტი მოიშორეს.

— **და ეს იმის გამო მოხდა, რომ თავის დროზე, სალომე ზურაბიშვილმა პრემიერს მერის, მოგვიანებით კი, პრეზიდენტის პოსტი სთხოვა?**

— სიცრუეა! ბიძინა ივანიშვილმა სალომე ზურაბიშვილს მერის პოსტი თავად შესთავაზა, თუმცა მან პრემიერის წინადადება არ მიიღო, რადგან ჩათვალა, რომ თანამდებობებს ის ადამიანები უნდა იკავებდნენ, რომლებიც საკუთარი პროფესიონალიზმის რეალიზებას ბოლომდე შეძლებენ, საერთაშორისო დონეზე აღიარებული ისეთი დიპლომატისთვის კი, როგორიც სალომე ზურაბიშვილია, თბილისის მერის თანამდებობის დაკავება მისი შესაძლებლობებისა და პოტენციალის ფუჭად გაფლანგვა იქნებოდა, სამაგიეროდ, პრეზიდენტის პოზიციიდან სალომე ზურაბიშვილი საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე გაძლიერებას შეძლებდა.

— **რატომ იქნებოდა გიგი უგულავასთან დაპირისპირება სალომე ზურაბიშვილისთვის პოლიტიკურად წამგებიანი?**

— გიგი უგულავას იმპიჩმენტზე საუბარი არც ყოფილა. პრემიერი სალომე ზურაბიშვილის თანამდებობას მას შემდეგ სთავაზობდა, რაც გიგი უგულავას ამ თანამდებობაზე ვადა ამოეწურებოდა. საბოლოოდ, ხელისუფლებამ უდიდესი შეცდომა დაუშვა, როცა სალომე ზურაბიშვილს საპრეზიდენტო კანდიდატად დარეგისტრირების საშუალება არ მისცა, რითაც საქართველოს დასავლური მომავალი ხელისუფლებამ კიდევ უფრო ბუნდოვანი გახადა.

— **ანუ ეს ბიძინა ივანიშვილის შურისძიება იყო?**

— ასე ვერ ვიტყოდი, მაგრამ ფაქტია, რომ არჩევნებში სალომეს მონაწილეობა გიორგი მარგველაშვილის გამარჯვებას ეჭვქვეშ დააყენებდა. სალომე ზურაბიშვილის პოზიციებს აბსოლუტურად ვიზიარებ, როცა აცხადებს, რომ კოალიცია ქვეყნის მართვის პროცესში უამრავ შეცდომას უშვებს, მაგალითად, სამართლიანობის აღდგენის მიმართულებით.

— **საკრებულოში დახმარების თხოვნით მოსული ადამიანებისგან არ ისმენთ, რომ სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნა, დიდი ხანია, სოციალურმა პრობლემებმა და დაპირებების შესრულების მოთხოვნამ ჩაანაცვლა?**

— დიახ, ბუნებრივია, აღნიშნულ პრობლემებს, როგორიცაა მაგალითად, სოციალური პრობლემები ყოველდღიურად ვისმენ საკრებულოში, ქვეყანაში უმძიმესი სოციალური მდგომარეობაა, რაც ცხადია, მაღელვებს და მაწუხებს კიდეც... ამიტომაც ვითხოვ საქართველოს ხელისუფლებისგან მეტი ქმედითი ნაბიჯების გადადგმას. დღეს ქვეყნის მომავალი ჩემთვის, მეტ-ნაკლებად, ბუნდოვანია, რაც საზოგადოებასაც აღელვებს. სოციალური პრობლემების პარალელურად, მოსახლეობა იმითაც დაინტერესებულია, საერთაშორისო ასპარეზზე საით მივდივართ. სხვათა შორის, პრემიერის ექსპერტებისა და მედიის წარმომადგენლების მიმართ ბოლო დროს გამოხატული მიდგომა აბსოლუტურად გაუმართლებელია. თუ ექსპერტს აზრს ეკითხები და მისგან ანალიზის მოსმენაც გინდა, მაშინ მას ბოლომდე უნდა მოუსმინო; ასევე გაუმართლებელია ჟურნალისტების „ფოსტალიონებად“ მოხსენიება და იმ სტანდარტის დადგენა პრემიერის მხრიდან, თუ როგორ უნდა იმუშაონ ჟურნალისტებმა.

— **სალომე ზურაბიშვილმა თავისუფალ დემოკრატებსა და რესპუბლიკელებს დუმილის გამო შენიშვნა მისცა და ხელისუფლების შეცდომებზე საკუთარი პოზიციის დაფიქსირება მოსთხოვა. თქვენც ფიქრობთ, რომ კოალიციის წევრები პირადი ინტერესების შესაბამისად მოქმედებენ?**

— ფაქტია, კოალიცია შეთანხმებულად არ მუშაობს და თუ არჩევნების შემდეგაც ხელისუფლება ერთ გუნდად ვერ ჩამოყალიბდება, ქვეყანაში პროცესები აუცილებლად აირევა. რა თქმა უნდა, ამ ორი პარტიის მიმართ კითხვები მეც მაქვს, რადგან ირაკლი ალასანია და დავით უსუფაშვილი პროდასავლური კურსით არიან ცნობილნი, დღეს კი საბჭოთა კავშირისკენ სვლის რისკები მართლაც შეინიშნება. თუ ბიძინა ივანიშვილმა ხალხს იმედები გაუცრუა, ხალხი აუცილებლად აფეთქდება.

— **თქვენი აზრით, სოციალური აფეთქების ნიშნები უკვე იკვეთება?**

— უბრალოდ, შეუძლებელია, ყველაფერი ასე გაგრძელდეს, ქვეყანას აქვს უამრავი პრობლემა, როგორც სოციალური, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით, თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნაციონალურ მოძრაობას თითქმის ყველა უწყების ქვედა რგოლში ჯერ კიდევ ღრმად აქვს ფესვები გამდგარი და ხელისუფლებისთვის ხელის შეშლასაც ახერხებს, რაც მხოლოდ და მხოლოდ, ნაციონალური მოძრაობის უპასუხისმგებლობასა და ხელისუფლების ქმედუუნარობაზე მეტყველებს. აუცილებელია კოჰაბიტაციის დასრულება, რომლის მნიშვნელობა დღემდე ვერ გავიგე... თუმცა იმედს ვიტოვებ, რომ ყველაფერი დალაგდება და ქვეყანას პოლიტიკურ დაპირისპირებას არ გადააყოლებენ.

# გლეხებისგან იაფად შეძენილ ყურძენს დილერები ქარხნებს ძვირად აბარებენ?!

**საქართველოში კულტურული ვაზის 500-ზე მეტი ადგილობრივი ჯიშია აღწერილი. ასეთი მრავალფეროვნება კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ ჩვენთან მევენახეობა ათასწლეულებს ითვლის. ამ ჯიშებიდან კახეთში ძირითადად გავრცელებულია „რქაწითელი“, „მწვანე კახური“, „ხიხვი“, „ქისი“, „საფერავი“ და სხვა. „რთველი 2013“-ის საკოორდინაციო შტაბის ხელმძღვანელმა, ლევან დავითაშვილმა აღნიშნა, რომ კახეთის რეგიონში, „რქაწითელი“ და „საფერავი“ დომინირებს. მისი თქმით, ვენახების ყველაზე დიდი ფართობები სწორედ ამ ორ ჯიშს უკავია. თუმცა გავრცელებულია „მანავის მწვანე“, რომელსაც სინამდვილეში, „მწვანე კახური“ ჰქვია. ეს ჯიში, ძირითადად, საგარეჯოს, თელავისა და ახმეტის რაიონებში გვხვდება. რაც შეეხება დანარჩენ სახეობებს, ლევან დავითაშვილი ამბობს, რომ კახეთის რვავე რაიონში, ისინი თანაბრადაა გადანაწილებული.**




„ღვინის ეროვნული სააგენტოს“ თავმჯდომარე **ლევან დავითაშვილი** გვიამბობს, რომ კახეთის რეგიონში, ღვინის კომპანიები ძირითადად მაინც „საფერავსა“ და „რქაწითელს“ იბარებენ:

**„წითელი ყურძნის სახეობებიდან, ყველაზე მეტად „საფერავია“ გავრცელებული, რომელიც საუკეთესო ღირსების წითელ, საღვინე ჯიშს მიეკუთვნება. კახეთის მიკროზონებში, როგორებიცაა მუკუზანი, ახაშენი, ხაშმი, ნაფარეული, ყვარელი და სხვა, მოწეული ყურძნისგან მიღებული ღვინო დამახასიათებელ არომატსა და გემოს იძენს. ამ ჯიშისგან მზადდება საუკეთესო ღვინოები: „მუკუზანი“, „საფერავი“, „ახაშენი“, „ქინძმარაული“, რომლებიც ქართული მეღვინეობის მარგალიტებად ითვლება. უნივერსალური თეთრი ყურძნის ჯიშია „რქაწითელი“, რომელიც საქართველოს ბევრ რაიონშია გავრცელებული, მაგრამ, ძირითადად, მაინც კახეთში გვხვდება. „რქაწითელი“ მშრალი, ნახევრად ტკბილი, საშამპანურე და საბრენდე ღვინო-მასალების მისაღებად გამოიყენება.მისგან მზადდება სამარკო ადგილწარმოშობის ღვინოები: „ვაზისუბანი“ და „წინანდალი“.**

მისი თქმით, ღვინის კომპანიები საბრენდედ, დაბალფასიან და შერეულ ჯიშებსაც იყენებენ. ამ ეტაპზე, დაახლოებით, 5-6 ტონამდე ყურძენია გადამუშავებული:

**„ბრენდი გამოხდილი ღვინოა, რომელიც დავარგებულია და ამის შემდეგ, მისგან მაღალალკოჰოლურ სასმელს აკეთებენ. ამ მიზნით, შესაძლოა, ნებისმიერი ჯიშის ყურძენი გამოიყენონ, მაგრამ ცნობილი სამარკო დასახელების ბრენდებს ისეთი ჯიშის ყურძნისგან ამზადებენ, როგორებიცააა: „მწვანე კახური“, „რქაწითელი“ და „საფერავი“. ამ ჯიშის ყურძნები სახელმწიფოს მიერ სუბსიდირდება და ღვინის ყველა კომპანია იბარებს მათ. რაც შეეხება „წარაფს“ ანდა გავრცელებულ იშვიათ ჯიშებს, რომელსაც მოსახლეობა განსაკუთრებულ სახეობად მიიჩნევს, ის იგივე „რქაწითელია“ და ფასიც შესაბამისი აქვთ“.**

რაც შეეხება ღვინის რეალიზაციას, ლევან დავითაშვილის განმარტებით, რუსეთისა და ევროპის ქვეყნებიდან მოთხოვნა სხვადასხვა მარკის ქართულ ღვინოებზეა:

**„დსთ-ს ქვეყნებში პოპულარულია „ქინძმარაული“, „ხვანჭკარა“, „მუკუზანი“, „წინანდალი“. რაც შეეხება ფასს, გააჩნია ღვინოს, მაგრამ მათი ღირებულება, საშუალოდ, 2-დან 4 აშშ დოლარამდე მერყეობს. საუკუნეზე მეტია, რაც საქართველოში ადგილობრივ აბორიგენულ ვაზის ჯიშებთან ერთად, უცხოური სახეობებიც გააშენეს. მაგალითად, „ალიგოტე“, „პინო“, „კაბერნე სოვინიონი“ და სხვა, რომლებიც სუბსიდირებული არ არის, რადგან ეს ქართული ჯიშები არ გახლავთ, თანაც მათი რაოდენობა მცირეა და, შესაბამისად, არც დარაიონებაში ხვდება“.**

ლევან დავითაშვილის თქმით, ამჟამად რთველი ყველაზე ინტენსიურად საგარეჯოს რაიონში მიმდინარეობს, რადგან ამ რაიონში ყურძენი ყველაზე გვიან მწიფდება. აქამდე რთველი დედოფლისწყაროს, გურჯაანის, სიღნაღისა და ყვარლის რაიონებში მიმდინარეობდა:

**„საგარეჯოსთან ერთად, რთველი ახმეტაშიც დაიწყო. ღვინის კომპანიების უმრავლესობამ ყურძნის მიღება უკვე დაამთავრა, რადგან ძირითადი მარაგი აღებული აქვთ, თუმცა დაახლოებით, 20-მდე ქარხანა კვლავ განაგრძობს მოსავლის მიღებას. კომპანიები სიღნაღის, გურჯაანის, ყვარლისა და ახმეტის რაიონებშია გადანაწილებული. ფაქტობრივად, ყურძნის ინტენსიური კრეფა 10 დღეში უნდა დასრულდეს, მაგრამ, შესაძლოა, რომელიმე კერძო მევენახემ, თავისთვის გარკვეული რაოდენობა დაიტოვოს და მოგვიანებით ჩააბაროს, ამიტომ რთვლის დასრულების თარიღს ბოლომდე მაინც ვერ განვსაზღვრავთ“.**

„ღვინის ეროვნული სააგენტოს“ თავმჯდომარემ იმ საკითხზეც ისაუბრა, რაც ბოლო პერიოდში, დილერებთან დაკავშირებით გავრცელდა. კერძოდ, გლეხები და ფერმერები ამბობენ, რომ კონკრეტული პირები, მათგან იაფად შეძენილ ყურძენს ღვინის ქარხნებში ძვირად აბარებენ:

**„ასეთი შემთხვევები მართლაც დაფიქსირდა. დილერები ცდილობენ, ყურძენი იაფად იყიდონ და მომატებულ ფასში ჩააბარონ, ამიტომ მოვუწოდებ ყველა მევენახეს, თვითონ სცადოს კომპანიებთან ურთიერთობა, რათა შუამავალი აღარ დასჭირდეს. ასეთ შემთხვევაში, კომპანიაც ზარალდება და გლეხიც. ზოგადად, ეს ფაქტი იმანაც გამოიწვია, რომ ხალხში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს მოსავალს შუამავლის გარეშე ვერ ჩააბარებდნენ, რაც,რა თქმა უნდა, სიცრუეა. გლეხებს მოსავლის ჩაბარებაში ხელს არავინ უშლის. ვერ გეტყვით, კონკრეტულად, მიზეზი რა არის, მაგრამ ზოგს მიამიტურად სჯერა სადღაც გაგონილის, ზოგს ღვინის კომპანიებამდე ტრანსპორტით უზრუნველყოფას სთავაზობენ და შესაბამისად, ჭორიც აგორდა“.**

ლევან დავითაშვილმა განმარტა, რომ ამ ფაქტის შესახებ, უშუალოდ ღვინის კომპანიების წარმომადგენლებისა და ფერმერებისგან შეიტყვეს. „ღვინის ეროვნული სააგენტოს“ თავმჯდომარე კიდევ ერთხელ აფრთხილებს ფერემერებსა და მევენახეებს, რომ თუ ასეთი შემთხვევა კიდევ ერთხელ დაფიქსირდება, ისინი „ცხელ ხაზს“ უნდა დაუკავშირდნენ და შტაბის თანამშრომლებს აცნობონ, რომლებიც დახმარებას გაუწევენ.

*მაია მიშელაძე*





## ცხენისწყლისა და რიონის შემოგარენში მცხოვრებ მოსახლეობას პანიკის საფუძველი არ აქვს

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის, ამირან გამყრელიძის თქმით, წინასწარი მონაცემებით, ცხენისწყალსა და რიონში დარიშხანის კონცენტრაცია ნორმას არ აჭარბებს: **„როგორც ცხენისწყლის, ისე რიონის აუზში წყალში დარიშხანის კონცენტრაციის მუდმივი მონიტორინგი მიმდინარეობს. ამ საქმეში ჩართულები არიან როგორც ქართული, ისე გერმანული ლაბორატორიები. ორი სხვადასხვა ლაბორატორიის წინასწარი მონაცემებით, დარიშხანის კონცენტრაცია ცხენისწყალში ნორმის ფარგლებშია. სავარაუდოდ, დღის ბოლოსთვის გერმანელების დასკვნაც იქნება. ასე რომ, ცხენისწყლისა და რიონის შემოგარენში მცხოვრებ მოსახლეობას პანიკის საფუძველი არ აქვს“.**

გამყრელიძე იმასაც ამბობს, რომ მდინარე ცხენისწყალში დარიშხანის გადამუშავების ნარჩენები სოფელ ცანაში მდებარე გაუქმებული სამთო-გადამამუშავებელი კომბინატიდან წყალდიდობის შედეგად ჩაირეცხა.

მისი თქმით, ინფორმაციის მიღებისთანავე, გარემოს დაცვის სამინისტროში შეიკრიბა ჯგუფი, რომელმაც დასახა გეგმა და ჩაატარა პრევენციული სამუშაოები. კერძოდ, ცხენისწყლის იმ შენაკადს, რომელშიც დარიშხანის ნარჩენები იყო ჩარეცხილი, სხვა მიმართულება მისცეს, რათა მდინარის ხელახალი დაბინძურების საშიშროება მოხსნილიყო.

*„პირველი“*



## 132 ქართველი სამხედრო ავღანეთიდან სამშობლოში მშვიდობით დაბრუნდა

მეოთხე ქვეითი ბრიგადის 42-ე ბატალიონის სამხედროებმა ავღანეთში 6 თვის განმავლობაში ISAF-ის მისიის ფარგლებში დაკისრებული მოვალეობა წარმატებით შეასრულეს. ქართველი სამხედრო მოსამსახურეები აშშ-ს საზღვაო ქვეითების მხარდაჭერით სრული სპექტრის ოპერაციებს ახორციელებდნენ. მათ მთავარი პროვინციის სამოქმედო არეალში მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით პატრულირება და მოძრავი საკონტროლო საგუშაგოების მოწყობა წარმოადგენდა.

42-ე ბატალიონის სამშობლოში დაბრუნება ეტაპობრივად მოხდება. ბატალიონი სამშობლოში მიმდინარე თვის ბოლომდე სრულად დაბრუნდება. მათ ავღანეთში ბათუმის ცალკეული მსუბუქი ქვეითი ბატალიონის სამხედროები ჩაანაცვლებენ.

სამშვიდობოებს აეროპორტში საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე ირაკლი გეგეჭკორი, გაერთიანებული შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი ირაკლი ძნელაძე და მეოთხე ქვეითი ბრიგადის მეთაური, პოლკოვნიკი ზაზა ლელაძე დახვდნენ.

*„პირველი“*

## პოლიციის აკადემიას სტატუსი ეცვლება

შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიას საპოლიციო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი ენიჭება. შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივით შსს-მ პარლამენტს უკვე მიმართა. „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებების მიხედვით, შს სამინისტროს ენიჭება უფლება, აკადემიისთვის საპოლიციო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მიმართოს. განისაზღვრება შს სამინისტროს კომპეტენცია საპოლიციო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის; აღნიშნული საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორის თანამდებობის დასაკავებლად სავალდებულო არ იქნება დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის არსებობა. პროექტის თანახმად, საპოლიციო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაზე კონტროლს შინაგან საქმეთა სამინისტრო განახორციელებს.

*„პირველი“*

# ნაციონალური ნაღმები მეტროს გვირაბებში



### როგორ აქცია უგულავამ მეტროპოლიტენი სახიფათო ტრანსპორტად და რომელი ობიექტების გაყიდვას აპირებს მერია

დავით დევიძე
593-219-042

**არც ისე დიდი ხნის წინ, თბილისის მეტროს საბურთალოს ხაზზე მატარებელს ცეცხლი გაუჩნდა. შემთხვევა დილის საათებში ანუ იმ დროს მოხდა, როცა აქ ხალხმრავლობაა. მეტროს თანამშრომლების თქმით, ცეცხლი მატარებლის ელექტროძრავს მოედო, მოხდა სწრაფი დაკვამლიანება და ყველაფერი შეიძლება დიდი ტრაგედიით დასრულებულიყო, მემანქანეს რომ არ ეყოჩაღა და ცეცხლი დროულად არ ჩაექრო. ეს ამბავი არსად გახმაურებულა — თბილისის მერიამ იზრუნა, ჟურნალისტებს არაფერი შეეტყოთ. არადა, როგორც მეტროში დასაქმებული პერსონალი ამბობს, ასეთი შემთხვევები ბოლო დროს საკმაოდ გახშირდა, გიგი უგულავას უწყება კი ყველაფერს აკეთებს, ეს ამბავი არ გახმაურდეს. „ვერსიამ“ სკანდალური რამ გაარკვია — ამგვარი შემთხვევების მიჩქმალვის რეალური მიზეზი ის გახლავთ, რომ მეტროს სპეციალისტების თქმით, უგულავამ, ერთ დროს, ყველაზე უსაფრთხო ტრანსპორტი, გადაადგილების ყველაზე საშიშ საშუალებად აქცია; დღეს კი ყველაფერი კეთდება, რომ მეტროსთან დაკავშირებით ნაციონალური მოძრაობის მიერ ჩადენილი დანაშაული, საზოგადოებისთვის უცნობი დარჩეს.**

რა დანაშაულს ვგულისხმობთ? — სპეციალისტების თქმით, მეტროს თანმიმდევრული ნგრევა ხელისუფლებაში ნაციონალების მოსვლისთანავე დაიწყო. აქ იმდენი დარღვევაა, ყველას ჩამოთვლა ერთ საგაზეთო სტატიაში შეუძლებელია, ამიტომ, ჯერჯერობით, მხოლოდ მთავარზე მოგახსენებთ — ისეთი შემთხვევა, როგორიცაა მატარებლის ძრავაზე ცეცხლის გაჩენა, მომაკვდინებელ საფრთხეს შეიცავს, რადგან ფულის კეთებაზე დახარბებული ნაციონალების დამსახურებით, მეტროს გვირაბები სავსეა მასალებით, რომლებიც ცეცხლის გაძლიერებას უწყობს ხელს. უკვე ვწერდით, რომ დედაქალაქის მთავრობაში მოსვლისთანავე, უგულავას ბრძანებით, თბილისის მეტროპოლიტენში სარემონტო სამუშაოები დაიწყო. პროცესი საკმაოდ კურიოზულად წარიმართა: ბევრ სადგურში კედლებიდან ჩამოხსნეს ძვირადღირებული მარმარილოს ფილები და მათ ნაცვლად, ააკრეს „პლასტიკატები“, რომელიც ელიავას ბაზრობაზე, 1 კვადრატული მეტრი 5 ლარი ღირს. ცხადია, ეს ფულის მოტეხვის მიზნით გაკეთდა. სპეციალისტების თქმით, ეს ის შემთხვევაა, როცა ქალაქის მერია უპატიებელ დანაშაულს სჩადის საკუთარი მოსახლეობის წინაშე — უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით, არსებობს საერთაშორისო ნორმები, რომელთა მიხედვით, კატეგორიულად დაუშვებელია მეტროს გვირაბებში პლასტმასის გამოყენება — მეტიც, ამის გაკეთება დანაშაულად მიიჩნევა; მიზეზი გასაგებია: თუ მეტროში რაიმე მიზეზით ცეცხლი გაჩნდება, ნაკლები შანსი უნდა არსებობდეს, რომ ცეცხლი ახლომახლო არსებულ საგნებს გადაედოს, პლასტიკატი კი აალების შესანიშნავი საშუალებაა. მოკლედ, გიგი უგულავამ და ანდრო ალავიძემ, მეტროპოლიტენის თავის ძმობილ და ამფსონ ხელმძღვანელებთან — ლევან კოპლატაძესთან, მიხეილ ჭელიძესთან... ერთად კონვენციებიც უგულებელყვეს, უსაფრთხოების ნორმებიც და ის გააკეთეს, არც ერთ ქვეყანაში მეტროს მესვეურებს აზრადაც რომ არ მოსვლიათ:

**მეტროს გვირაბები, პლასტიკატების წყალობით, ხანძრის კერად იქცა! „ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, მერიისა და მეტროს წარმომადგენლებმა იცოდნენ, დანაშაულს რომ ჩადიოდნენ, ამიტომ ცდილობდნენ, „გაეპრავებინათ“ თავიანთი საქციელი და ათასნაირ უნიჭო ჭორს ავრცელებდნენ სხვადასხვა სამსახურის დახმარებით; მაგალითად, სახანძრო სამსახურის ხელმძღვანელები ამბობდნენ, რომ მეტროში პლასტიკატების გაკვრა საშიში არაა, რადგან ამ პლასტიკატებს მისხმული ჰქონდა ისეთი ხსნარი, რომელსაც ცეცხლი არ უჩნდებოდა. ბევრმა ეს ტყუილი დაიჯერა კიდეც, მაგრამ ეს უგულავას იაფფასიანი „ტრიუკი“ იყო.**

ასეთი ხსნარი მართლაც არსებობს, ოღონდ ძალიან ძვირი ღირს და მდიდრულ ოფისებში იყენებენ ხალიჩებისა და ფარდების დასამუშავებლად. მეტროსთვის კი მისი შეძენა შეუძლებელი იქნებოდა სიძვირის გამო და უაზროც, რადგან პლასტიკატი ხსნარით არ იჟღინთება... მოკლედ, სულელური ჭორები ავრცელა სახანძრომ, იმის ნაცვლად, თვითონვე გაეპროტესტებინა ის, რაც მეტროში ხდებოდა. გაპროტესტებით არ გაუპროტესტებია, მაგრამ დანაშაულის ნიშნები იმდენად დიდი იყო, რომ ობიექტების ექსპლოატაციაში მიღებაზე ხელი არ მოაწერა. მეტროს სპეციალისტებს იმედი აქვთ, რომ ახლა მაინც მიიღებენ შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები ზომებს, გააპროტესტებენ მეტროპოლიტენის გვირაბების პლასტმასის მასალებით გავსებას და ამ პლასტიკატების მოხსნას მოსთხოვენ ხელისუფლებას.

საფრთხის მასშტაბების გასააზრებლად, მეტროს თანამშრომლებთან საუბრის შემდეგ, ტექნიკური უნივერსიტეტის სპეციალისტებსაც მივმართეთ. ტექნიკურ უნივერსიტეტში მიწისქვეშა სათავსოებისა და სამუშაოების სპეციალისტებმა მითხრეს, რომ მხოლოდ მეტროში კი არა, ნებისმიერ შახტსა თუ სატრანსპორტო გვირაბში დაუშვებელია პლასტიკატების რაიმე ფორმით გამოყენება; მათი თქმით, მეტროპოლიტენი ძალიან დიდი საფრთხის წინაშეა: ხანძრის შემთხვევაში ისედაც გაუმართავად მომუშავე ვენტილაციის სისტემა ვერ უზრუნველყოფს გვირაბის დახურულ სივრცეში დაგროვილი კვამლის გაწოვას და... შესაძლო შედეგებზე წარმოუდგენელია საუბარი. მოკლედ, კოჰაბიტაციას რა ვუთხარით, თორემ მარტო ეს დანაშაულია საკმარისი უგულავასა და მეტროპოლიტენის თავკაცების პასუხისგებაში მისაცემად. ისე, საინტერესო კია, ახლა მაინც რატომ არავინ იღებს ხმას ამ დანაშაულთან დაკავშირებით? თუ, მაინცდამაინც, ტრაგედია უნდა დატრიალდეს, რომ დამნაშავეს პასუხი მოვთხოვოთ?

მეტროს თანამშრომელთა თქმით, აქ დარღვევათა მთელი კასკადია, რაც დანაშაულის ერთიან ჯაჭვს ქმნის — ასე, მაგალითად: მეტროს გვირაბები სისტემატურად უნდა ირეცხებოდეს დადგენილი ხარისხით, არადა, „ვერსიასთან“ საუბრისას გვირაბებში დასაქმებული ტექნიკური პერსონალი ამბობს, რომ ეს იშვიათად ხდება; ასევე არ მუშავდება ტერიტორია შესაბამისი საშუალებებით. ამ გარემოებათა წყალობით, იქაურობა ვირთხებით, ბაღლინჯოებითა და კოღოებითაა სავსე, თუმცა ვირთხა და ბაღლინჯო რა მოსატანია იმ საფრთხესთან, რასაც სანიტარული ნორმების ეს დარღვევა შეიცავს:

*დასასრული მე-11 გვერდზე*



ლილია შევცოვა

CARNEGIE ENDOWMENT
FOR INTERNATIONAL PEACE

# აქვს თუ არა შანსი სამხრეთ კავკასიას?




აქვს თუ არა შანსი სამხრეთ კავკასიას? ვგულისხმობ შანსს რეალური და არა ყალბი დამოუკიდებლობისა და ღია საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის? — ეს ბუნებრივი კითხვაა, როდესაც აზერბაიჯანსა (16 ოქტომბერი) და საქართველოში (27 ოქტომბერი) საპრეზიდენტო არჩევნები ახლოვდება. სომხეთის ვითარება ოპტიმიზმის საფუძველს ნაკლებად გვაძლევს. ერევანმა საპრეზიდენტო არჩევნები თებერვალში ჩაატარა და იმის დემონსტრირება მოახდინა, თუ როგორ მუშაობს ელექტორალური ავტორიტარიზმი, რომლის საკვანძო აქსიომაა „განუსაზღვრელი თამაშის წესები და წინასწარ განსაზღვრული შედეგი“. არჩევნებში მოქმედმა პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანმა გაიმარჯვა, რაშიც ეჭვი, როგორც ჩანს, არავის ეპარებოდა. რამდენიმე საპრეზიდენტო კანდიდატი რბოლას ჩამოშორდა, ერთი დამარცხდა და 60%-იანმა გამარჯვებულმა საბჭოთა დრო მოგვაგონა. სომხეთი ასევე ლაკმუსის ქაღალდია, ერთგვარი ტესტი, რომელიც წარმოაჩენს მანევრების თავისუფლების იმ ხარისხს, რომელიც სამხრეთ კავკასიას გააჩნია. ერევანი უმალ დაისაჯა მისი ფლირტისთვის ევროკავშირთან: მოსკოვმა თავისი უკმაყოფილება იმით გამოხატა, რომ აზერბაიჯანი 4 მილიარდის ღირებულების სამხედრო ტექნიკით მოამარაგა.

შეცვლის თუ არა მოდელს ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები აზერბაიჯანსა და საქართველოში? საპრეზიდენტო არჩევნებს ამ ორი ქვეყნისთვის სხვადასხვა დატვირთვა აქვს. ალიევის მმართველობა უწყვეტია და ის სულთანიზმში გადადის. ალბათ, არც ღირს აზერბაიჯანის არჩევნების შესაძლო შედეგების განხილვა, რადგან ის წინასწარ ცნობილია. როგორც ჩანს, მხოლოდ იმაზე შეიძლება მსჯელობა, თუ რამდენად უფრო რეპრესიული იქნება იმავე სულთნის მმართველობა მისი ახალი ვადის პერიოდში.

საქართველოში ერთი ეპოქის დასასრული და მეორის დასაწყისი ჩანს. სააკაშვილის „ზევიდან“ მოდერნიზაციის ეპოქა და ღიად პროდასავლური ვექტორი დასრულდა. ხელისუფლების მშვიდობიანი გადაცემა მისი ყველაზე დიდი მემკვიდრეობაა, მაგრამ არ არსებობს გარანტია, რომ ეს მემკვიდრეობა ახალ ტრადიციად იქცევა საქართველოში. დღეს არსებული ძალთა ბალანსი და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, მოქმედი მმართველი გუნდის მიერ ინიცირებული ცვლილებები საქართველოს კონსტიტუციაში (რაც მნიშვნელოვან პოლიტიკურ რესურსებს აქცევს პრემიერ-მინისტრის და მთავრობის ხელში) ახალ სახელისუფლებო მონოპოლიას ქმნის. ყველა შემთხვევაში, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ პრეზიდენტი გახდება მმართველი პარტიის „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი გიორგი მარგველაშვილი, რომელიც დიდწილად, დეკორაციად იქცა. ნამდვილი ძალაუფლება ბიძინა ივანიშვილს დარჩება. შეასრულებს ის სრულად თავის დანაპირებს და დატოვებს პოლიტიკას მას შემდეგ, რაც სააკაშვილი გადადგება? ამაზე თავს არ დავდებდი. ყველა შემთხვევაში, საეჭვოა, ქართული პოლიტიკა ღია საზოგადოების პარადიგმისკენ მიემართებოდეს.

წარმატებული იქნება თუ არა თბილისისა და ბაქოს საგარეო პოლიტიკური პროექტი – კარგი ურთიერთობები ერთდროულად დასავლეთსა და რუსეთთანაც? უახლესი ისტორია ცხადყოფს, რომ ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების ლიდერები საკმაო წარმატებით აჭენებდნენ ერთდროულად ორ ცხენს სხვადასხვა მიმართულებით. ვგულისხმობ უკრაინის ყოფილ ლიდერ კუჩმას, შევარდნაძესა და მამა ალიევს, თუმცა დუალიზმისა და გაურკვეველი ლოიალობის ეპოქა წარსულს ჩაბარდა — პირველ რიგში, იმის გამო, რომ პარალიზებული ევროკავშირი ვერ გადასცემს ენერგიას თავის აღმოსავლელ პარტნიორებს, ხოლო ობამას ამერიკა ვერ უძლევება დასავლეთს. მეორე მიზეზი კი ისაა, რომ პუტინის კრემლს ახალი საგარეოპოლიტიკური სტრატეგია აქვს – „ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია“ და ღიად განაცხადა თავისი მიზნის შესახებ, რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცეში ახალი გალაქტიკის შექმნას ითვალისწინებს, სადაც ცენტრში იქნება რუსეთი, ხოლო დანარჩენები ირგვლივ, სატელიტების სახით. ძალიან სამწუხაროა, რომ სამხრეთ კავკასია კვლავ გეოგრაფიის მძევალია. ამის განჭვრეტა შესაძლებელი იყო იმ დროში, როდესაც ფასეულობებზე აგებული ცივილიზაცია ვიწროვდება...



## ნატო რუსეთს მოუწოდებს, გადახედოს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის საკითხს

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი შეშფოთებას გამოთქვამს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან რუსი სამხედროების მიერ ღობეებისა და სხვა ფიზიკური ბარიერების აღმართვის გამო. დეპარტამენტი რუსეთს ღობეების მოშლისკენ მოუწოდებს. ამის შესახებ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის სპიკერის მოადგილე მარი ჰარფმა განაცხადა: **„ეს პროცესი არ შეესაბამება რუსეთის საერთაშორისო ვალდებულებებს და არღვევს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში; ასევე აზიანებს ორ მხარეს შორის ნდობას, სირთულეებს უქმნის საზღვრის ორივე მხარეს მცხოვრებ მოქალაქეებს. მოვუწოდებთ რუსეთს, მოშალოს ღობეები და საქართველოს კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხებით ჟენევის მოლაპარაკებებზე გამოვიდეს“.**

პარალელურად, ნატო მოუწოდებს რუსეთს, ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რეგიონების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება უარყოს. ნატო-ს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი აღნიშნავს: **„შეშფოთებული ვარ, რომ რუსეთის ფედერაცია განაგრძობს ღობეებისა და სხვა დაბრკოლებების აღმართვას ადმინისტრაციული საზღვრების გასწვრივ, საქართველოს ტერიტორიაზე. ეს ეწინააღმდეგება რუსეთის საერთაშორისო ვალდებულებებს და წვლილი არ შეაქვს კონფლიქტის მშვიდობიანად გადაჭრაში. ეს უარყოფით გავლენას ახდენს ტერიტორიაზე შექმნილ ვითარებაზე და საფრთხეს უქმნის საქართველოს იმ მოქალაქეების სიცოცხლეს, რომლებიც ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეს ცხოვრობენ. მოვუწოდებ რუსეთს, მოხსნას ბარიერები.**

**ნატო-ს პოზიცია ნათელია. ჩიკაგოს სამიტზეც გაცხადდა, რომ ის მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს, მის საერთაშორისო მასშტაბით აღიარებულ საზღვრებში. მოვუწოდებთ რუსეთს, უარყოს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რეგიონების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება“.**

*„ვერსიანიუსი“*

სკანდალი

# ნაციონალური ნაღმები მეტროს გვირაბებში

*მე-10 გვერდიდან*

სპეციალისტების მიერ დიდი ხანია დადგენილია, რომ მატარებლის ლიანდაგზე ბორბლების ხანგრძლივი ხახუნის დროს გამოიყოფა რკინის მტვერი, რომელიც გვირაბში გროვდება და ჯანმრთელობისათვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. შესაბამისი ზომების არგატარების შემთხვევაში, მეტროს მგზავრებსა და აქ მომუშავე პერსონალს, რკინის დაგროვილი მტვრის შესუნთქვა უწევს, რაც ძალიან მავნებელია.

ეს ყველაფერი სულაც არ ნიშნავს, რომ მეტროში მთლად უკან-უკან მიდის საქმე. მოგეხსენებათ, სატრანსპორტო ფუნქციის გარდა, მეტროპოლიტენს კიდევ ერთი დატვირთვა აქვს: ომის პერიოდში გვირაბებში მოსახლეობის ევაკუაცია უნდა მოხდეს — ანუ მეტროს აქვს თავშესაფრის ფუნქციაც. აი, ამ ფუნქციას კი თბილისის მერია ომის გარეშეც მშვენივრად იყენებს: მეტროს პერსონალი ამბობს, რომ უგულავა-კოპლატაძემ ის ზონდერები, ადრე მიტინგებზე ხალხს თავპირს რომ ამტვრევდნენ, მეტროში, მონიტორინგის სამსახურში დაასაქმეს. ზონდერების გარდა, მეტროს სამსახურებში ნაციონალების ყოფილ სახეებსაც ბლომად შეხვდებით თურმე. მოკლედ, ვინმეს ნაციონალები თუ მოენატრება, მეტროში ნახავს — მეტრო მათ ბუდედ იქცაო, ამბობენ თანამშრომლები. არადა, ამ დროს ისე გაწმინდეს მეტროპოლიტენი პროფესიონალი კადრებისგან, რომ დღეს იქ სპეციალისტები თითებზე ჩამოსათვლელადაა დარჩენილი.

საინტერესოა ისიც, რომ უგულავა-კოპლატაძის კლანი მაქსიმალური მოგების მიღებისთვის იბრძვის. მოგეხსენებათ, დრონი მეფობენ და ცოტა ხანში კოჰაბიტაციაც დასრულდება ისევე, როგორც თბილისის მერიის არჩევნების შემდეგ დასრულდება გიგი უგულავას მერობის ხანაც. ეს კარგად აქვთ გაცნობიერებული უგულავას კლანში და ისედაც უზრუნველი მომავლის კიდევ უფრო გამყარებას ცდილობენ. „ვერსიის“ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, ამ მიზნით ფულის გაკეთების, ახალი გზა გამოჩხრიკეს: სატრანსპორტო კომპანია აპირებს თავის ბალანსზე არსებული ვითომ გამოუყენებელი და წამგებიანი ობიექტები სასწრაფოდ გაიტანოს ტენდერზე და გაასხვისოს. ტენდერი გარეშე პირთათვის თვალის ასახვევადაა მოგონილი. სინამდვილეში, მოქმედებს ნაციონალების მიერ შემუშავებული უნივერსალური სქემა, რომლის მიხედვით გაყიდული ობიექტი იაფად აღმოჩნდება კლანის რომელიმე მანამდე უცნობი წევრის ხელში ანუ მთელი ოპერაცია იმაში გამოიხატება, რომ ფული გადავა ერთი ჯიბიდან მეორეში. აი,

**ასეთი საქმის მოკვარახჭინებას ცდილობს მერია, რომლის დავალებით სატრანსპორტო კომპანია აპირებს ამავე კომპანიის პირველ სართულზე განთავსებული ოქროს ბირჟისა და სხვა სავაჭრო ობიექტების გაყიდვასაც, აქედან მიღებული შემოსავალი კი წელიწადში 600 ათას ლარს შეადგენს. მიუხედავად ამისა, მას გამოუყენებელ ობიექტად გამოაცხადებენ და თუ გაასხვისეს, შემოსავლები უკვე მთლიანად კლანის ხაზინაში წავა. გასაყიდ ობიექტთა ნუსხაშია ასევე გლდანისა და ავჭალის ავტოპარკები, ავჭალის სერვისცენტრი და კიკეთის მუშათა გამაჯანსაღებელი კომპლექსი. ვაკის პარკთან არსებული საბაგიროს შენობა-ნაგებობებისა და მიწის ფართის გაყიდვაც ამ გეგმის ნაწილია. სხვათა შორის, ამ მეთოდით, წინა წლებში უკვე გააქრეს და მუშებს ჩუმად გაუყიდეს ბათუმში, დელფინარიუმთან, მათთვის აშენებული ცხრასართულიანი და ექვსასნომრიანი გამაჯანსაღებელი კომპლექსი, რომელიც მათი შემოსავლის წყაროც იყო და დასვენების შესანიშნავი საშუალებაც.**

მოკლედ, თბილისის მეტროპოლიტენში სრული განუკითხაობაა, რომელიც სასწრაფოდ უნდა შეაჩეროს ვინმემ, თორემ არის საშიშროება, მეტროთი მგზავრობისას, საფრთხის რისკები მაქსიმუმამდე გაიზარდოს, მეტროპოლიტენი და, ზოგადად, ქალაქის ტრანსპორტი კი ინფრასტრუქტურის გარეშე დარჩეს. მრავალი მცდელობის მიუხედავად, არც მერიაში და არც მეტროში „ვერსიის“ მიერ მოპოვებულ ინფორმაციაზე არანაირ კომენტარს არ აკეთებენ. არადა, რესპონდენტების თქმით, ჩვენს მიერ მოყვანილი პრობლემები აისბერგის მხოლოდ ხილული ნაწილია — მეტროს მიწისქვეშა გვირაბები კიდევ ბევრ საიდუმლოს მალავს.

# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | | 9 | | | | | | |
| | | | 6 | 5 | | | 8 | |
| 1 | 8 | | | 4 | 3 | | 5 | |
| 3 | | | | | | 9 | | |
| | | | 3 | 1 | 8 | | | |
| | | 2 | | | | | | 1 |
| | 9 | | 4 | 7 | | | 6 | 8 |
| | 3 | | | 6 | 1 | | | |
| | | | | | | 2 | | 7 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 2 | | 3 | 9 | | 7 |
| | 8 | | | | | 5 | | |
| 7 | | | | | 8 | | 3 | |
| | 2 | | 3 | | | 4 | | |
| 6 | | | 4 | | 2 | | | 9 |
| | | 4 | | | 5 | | 7 | |
| | 1 | | 6 | | | | | 3 |
| | | 7 | | | | | 9 | |
| 2 | | 6 | 8 | | 7 | | | |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2 | 8 | 5 | | 4 | | | |
| 1 | | | | | 2 | | | |
| 5 | | 3 | | | 9 | | | |
| | | 4 | 8 | | 7 | | | 6 |
| | 7 | | 4 | 9 | 5 | | 1 | |
| 9 | | | 1 | | 3 | 4 | | |
| | | | 9 | | | 7 | | 3 |
| | | | 2 | | | | | 4 |
| | | | 7 | | 8 | 9 | 5 | |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 9 | | 5 | | | | | 2 |
| 4 | | 5 | | 3 | | | | |
| | | | | | 4 | | 7 | |
| | 6 | 4 | 7 | | | | 5 | |
| | | | | 1 | | | | |
| | 2 | | | | 9 | 3 | 8 | |
| | 4 | | 6 | | | | | |
| | | | | 4 | | 5 | | 9 |
| 2 | | | | | 5 | | 1 | |



## კორეელ ქალებს ჯინსის ჩაცმის უფლება მისცეს

ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა კიმ ჩენ ინმა ქვეყნის იმიჯის ასამაღლებლად სხვადასხვა ღონისძიებას მიმართა და ადგილობრივ მანდილოსნებს ჯინსის შარვლისა და მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ჩაცმის უფლება მისცა. აქამდე მათ მხოლოდ ტრადიციულ, ნაციონალურ კაბებში გამოწყობილებს შეეძლოთ თავის მოწონება. აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში მხოლოდ 2009 წელს გაიხსნა პირველი სწრაფი კვების რესტორანი და პირველი პიცერია. ადგილობრივმა ტელევიზიამ კი ეთერში, ასევე პირველად, ადგილობრივი წარმოების ლუდის რეკლამა გაუშვა.

## ჩიფსები დიქტატორითა გამოსახულებით




ნიდერლანდებში ცოტა ხნის წინ გაყიდვაში გამოვიდა ჩიფსები, რომლის შეფუთვაზეც მსოფლიოს დიქტატორთა გამოსახულებებია დატანილი. კომპანიამ Original Dictator Chips ხრაშუნა კარტოფილის მოყვარულებს სხვადასხვა მმართველთა ფოტოებით „დატკბობის“ საშუალებაც მისცა სლოგანით — „ერთხელ გაგვსინჯე და სხვა არაფერი მოგინდება“. დღეს ჰოლანდიის დახლებზე ასეთი სულ 19 სახეობის ჩიფსი იყიდება, მათ შეფუთვას კი კიმ ჩენ ინის, მუამარ კადაფის, მაჰმუდ აჰმადინეჯადის, ვლადიმერ პუტინის, ალექსანდრ ლუკაშენკოს გამოსახულებები „ამშვენებს“... ყველაზე დიდი პოპულარობით კადაფის ფოტოიანი ჩიფსი სარგებლობს.

## ოჯახური გარემო ონკოდაავადებულებს კურნავს



ონკოპაციენტები უფრო მეტხანს ცოცხლობენ, თუ დაქორწინებულები არიან და ოჯახი ჰყავთ; მეტიც, სიმსივნე მათში უფრო ადრეულ სტადიაზე ვლინდება და დროული მკურნალობის შედეგად, გამოჯანმრთელების მეტი შანსი აქვთ, — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკელი მედიკოსები. კიბოთი დაავადებულთა უდიდესი ბაზის გამოყენებით, რომელშიც ქვეყნის მოსახლეობის 28%-ზეა ინფორმაცია, მეცნიერებმა რეტროსპექტული ანალიზი ჩაატარეს 734 889 პაციენტზე. მკვლევარებმა გაითვალისწინეს დემოგრაფიული ფაქტორები, როგორიცაა ასაკი, სქესი, რასა, საცხოვრებელი ადგილი (ქალაქი თუ სოფელი), განათლების დონე, შემოსავალი — მოკლედ ყველაფერი, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. დაწვრილებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ დაქორწინებულებთან შედარებით, მარტოხელა პაციენტები 17%-ით მეტად იტანჯებოდნენ დაავადებით, მათი მკურნალობა დაგვიანებული და 53%-ში წარუმატებელი იყო, მიზეზი კი ისაა, რომ ასეთი ავადმყოფები ექიმთან იშვიათად მიდიან, ნაკლებად ასრულებენ ექიმის რეკომენდაციებს, უარს ამბობენ ოპერაციასა თუ რადიოქიმიოთერაპიაზე; შედეგად სიკვდილიანობა მარტოხელებში, 12-37%-ით მაღალია, დაოჯახებულებთან შედარებით. საინტერესოა ისიც, რომ პაციენტებისთვის ოჯახის წევრებთან ურთიერთობა უფრო სასარგებლო აღმოჩნდა, ვიდრე რადიოქიმიოთერაპია.

# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 6 | 8 | 5 | 4 | 3 | 2 | 1 | 9 |
| 4 | 9 | 5 | 2 | 1 | 8 | 6 | 7 | 3 |
| 3 | 2 | 1 | 9 | 7 | 6 | 5 | 4 | 8 |
| 6 | 1 | 9 | 8 | 5 | 7 | 4 | 3 | 2 |
| 2 | 3 | 7 | 6 | 9 | 4 | 1 | 8 | 5 |
| 8 | 5 | 4 | 3 | 2 | 1 | 9 | 6 | 7 |
| 5 | 4 | 6 | 7 | 8 | 2 | 3 | 9 | 1 |
| 9 | 8 | 3 | 1 | 6 | 5 | 7 | 2 | 4 |
| 1 | 7 | 2 | 4 | 3 | 9 | 8 | 5 | 6 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 5 | 2 | 7 | 4 | 1 | 3 | 9 | 8 |
| 8 | 7 | 4 | 9 | 3 | 6 | 5 | 2 | 1 |
| 3 | 1 | 9 | 8 | 2 | 5 | 4 | 6 | 7 |
| 1 | 4 | 8 | 5 | 9 | 3 | 2 | 7 | 6 |
| 2 | 6 | 5 | 1 | 8 | 7 | 9 | 4 | 3 |
| 9 | 3 | 7 | 4 | 6 | 2 | 1 | 8 | 5 |
| 7 | 2 | 1 | 6 | 5 | 4 | 8 | 3 | 9 |
| 5 | 9 | 3 | 2 | 7 | 8 | 6 | 1 | 4 |
| 4 | 8 | 6 | 3 | 1 | 9 | 7 | 5 | 2 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 2 | 8 | 4 | 7 | 6 | 1 | 5 | 9 |
| 1 | 9 | 7 | 3 | 8 | 5 | 4 | 6 | 2 |
| 6 | 5 | 4 | 1 | 2 | 9 | 8 | 3 | 7 |
| 4 | 8 | 6 | 9 | 3 | 7 | 5 | 2 | 1 |
| 2 | 3 | 1 | 8 | 5 | 4 | 9 | 7 | 6 |
| 5 | 7 | 9 | 6 | 1 | 2 | 3 | 4 | 8 |
| 9 | 1 | 5 | 7 | 6 | 3 | 2 | 8 | 4 |
| 8 | 6 | 3 | 2 | 4 | 1 | 7 | 9 | 5 |
| 7 | 4 | 2 | 5 | 9 | 8 | 6 | 1 | 3 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 7 | 5 | 4 | 9 | 3 | 2 | 1 | 8 |
| 2 | 1 | 4 | 7 | 8 | 6 | 3 | 9 | 5 |
| 9 | 8 | 3 | 5 | 2 | 1 | 6 | 4 | 7 |
| 1 | 5 | 2 | 3 | 7 | 9 | 8 | 6 | 4 |
| 8 | 4 | 9 | 6 | 5 | 2 | 1 | 7 | 3 |
| 3 | 6 | 7 | 8 | 1 | 4 | 5 | 2 | 9 |
| 7 | 3 | 1 | 9 | 6 | 8 | 4 | 5 | 2 |
| 5 | 2 | 8 | 1 | 4 | 7 | 9 | 3 | 6 |
| 4 | 9 | 6 | 2 | 3 | 5 | 7 | 8 | 1 |

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 9 | 6 | 5 | 4 | 3 | 2 | 8 | 7 |
| 3 | 2 | 8 | 1 | 7 | 9 | 5 | 6 | 4 |
| 5 | 7 | 4 | 6 | 2 | 8 | 3 | 9 | 1 |
| 4 | 3 | 1 | 7 | 9 | 5 | 8 | 2 | 6 |
| 9 | 8 | 2 | 4 | 6 | 1 | 7 | 5 | 3 |
| 6 | 5 | 7 | 3 | 8 | 2 | 4 | 1 | 9 |
| 2 | 6 | 5 | 9 | 3 | 7 | 1 | 4 | 8 |
| 8 | 4 | 3 | 2 | 1 | 6 | 9 | 7 | 5 |
| 7 | 1 | 9 | 8 | 5 | 4 | 6 | 3 | 2 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 7 | 9 | 3 | 1 | 5 | 4 | 2 | 6 |
| 4 | 3 | 6 | 2 | 9 | 8 | 1 | 5 | 7 |
| 2 | 1 | 5 | 7 | 6 | 4 | 9 | 3 | 8 |
| 1 | 5 | 8 | 6 | 4 | 7 | 3 | 9 | 2 |
| 9 | 2 | 3 | 5 | 8 | 1 | 6 | 7 | 4 |
| 7 | 6 | 4 | 9 | 3 | 2 | 8 | 1 | 5 |
| 6 | 9 | 2 | 8 | 7 | 3 | 5 | 4 | 1 |
| 3 | 4 | 7 | 1 | 5 | 6 | 2 | 8 | 9 |
| 5 | 8 | 1 | 4 | 2 | 9 | 7 | 6 | 3 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 9 | 8 | 7 | 4 | 5 | 6 | 3 | 2 |
| 7 | 6 | 5 | 3 | 2 | 1 | 9 | 4 | 8 |
| 4 | 3 | 2 | 6 | 9 | 8 | 7 | 5 | 1 |
| 8 | 7 | 9 | 1 | 5 | 6 | 3 | 2 | 4 |
| 2 | 5 | 3 | 4 | 8 | 9 | 1 | 7 | 6 |
| 6 | 4 | 1 | 2 | 7 | 3 | 8 | 9 | 5 |
| 9 | 8 | 7 | 5 | 1 | 4 | 2 | 6 | 3 |
| 5 | 1 | 6 | 9 | 3 | 2 | 4 | 8 | 7 |
| 3 | 2 | 4 | 8 | 6 | 7 | 5 | 1 | 9 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 9 | 1 | 7 | 6 | 2 | 5 | 4 | 3 |
| 7 | 4 | 6 | 5 | 1 | 3 | 2 | 9 | 8 |
| 5 | 3 | 2 | 9 | 8 | 4 | 1 | 7 | 6 |
| 6 | 8 | 7 | 4 | 5 | 1 | 3 | 2 | 9 |
| 4 | 2 | 5 | 3 | 9 | 8 | 7 | 6 | 1 |
| 3 | 1 | 9 | 6 | 2 | 7 | 8 | 5 | 4 |
| 2 | 6 | 8 | 1 | 7 | 9 | 4 | 3 | 5 |
| 1 | 5 | 4 | 2 | 3 | 6 | 9 | 8 | 7 |
| 9 | 7 | 3 | 8 | 4 | 5 | 6 | 1 | 2 |

მე-13 გვერდი: 1. მიკროსკოპი; 2. ათინათი; 3. რომაული; 4. ბუნგალო; 5. ჰელესპონტი; 6. სუვერენიტეტი; 7. ნათლობა; 8. მუნ; 9. ვანდალი; 10. მანიანი; 11. უგო; 12. რემისია; 13. „ნათელა“; 14. ოინა; 15. ბალუ; 16. ულიე; 17. ნოე; 18. არმრესლინგი; 19. იტალიკი; 20. კლიპი;’ 21. სიო; 22. ბელმონდო; 23. კლანი; 24. ბულიმია; 25. პაზლი; 26. ნეგუსი; 27. კრუიფი; 28. სნოუბორდი; 29. რტო; 30. ტაკა; 31. კოდალა; 32. კლინსმანი; 33. ფაველა; 34. პაპი; 35. უსტარი; 36. აკმე; 37. გაიალი; 38. პოლიფონია; 39. ნიაბი; 40. კანაპე; 41. ოფისი; 42. ერუშეთი; 43. „ენეიდა“; 44. ლეი; 45. აიურვედა; 46. პალმირა; 47. კასიო; 48. ლია; 49. ლუკა; 50. პინო; 51. ლორე; 52. ბის; 53. ნატურა; 54. რაიხი; 55. სლაიდი; 56. ნიიგატა; 57. კოდალა; 58. „კლელია“; 59. ინინი; 60. შაური; 61. გლახა; 62. აკრა; 63. იგლუ; 64. ემალი; 65. სე; 66. შიიტი; 67. ბოი; 68. ტუფი; 69. ლავიწი; 70. შობა; 71. ურა; 72. მექა; 73. ესკულაპი; 74. წიე; 75. ნია; 76. ბუ; 77. რკო; 78. ოფი; 79. ანალოე; 80. აყუა.

1. აპარატი, რომელიც ცვალებადი დენის ძაბვას ზრდის ან ამცირებს
2. ჯარი, ლაშქარი ძველ ქართულში
3. ხასხასა მწვანე მინერალი



4. ხალხური ზეპირი შემოქმედება
5. მეფის ხელისუფლების ერთგული
6. სინათლე ბავშვის ენაზე
7. რომის პაპის გვირგვინი
8. დედამიწის ზედაპირის ბრტყელი გამოსახულება
9. სისხლის თეთრი ბურთულა
10. ხმელთაშუა ზღვის საკურორტო ზონა
11. ბურთის ჩაწოდების ხერხი ჩოგბურთში
12. ნოტიო და ჩახურებული ფქვილი
13. იგივეა, რაც მზესუმზირა
14. პოპულარული უკრაინული ქალის სახელი
15. ფრანგი კომპოზიტორი
16. ქალვაჟის ერთად დაწვენის ჩვეულება ხევსურეთში
17. მწერალი ... არაგვისპირელი
18. მიმართვა ინგლისელი მამაკაცისადმი
19. ჯავშნიანი რეპტილია
20. ჰოლივუდის მსახიობი მირა ...
21. სტატიის მოკლე შინაარსი, დასკვნა
22. კომბოსტოს ერთ-ერთი სახეობა
23. საკურორტო სოფელი ხაშურის რაიონში
24. აჭარული ცეკვა
25. კადრი ფილმიდან „...“
26. ზევსის ტყუპი შვილები, რომლებიც მონაწილეობდნენ არგონავტების ლაშქრობაში
27. ხელოვნების ნიმუშთა საგამოფენო დარბაზი
28. რაიმე თვისების თანდათანობითი გაუარესება
29. მუსიკალური გამის I ნოტი
30. მდინარე ესპანეთში
31. ევფრატის „მეწყვილე“ მდინარე
32. შვეიცარიის დედაქალაქი
33. მიწის საზომი ერთეული ინგლისში
34. ქართული ხალხური სიმღერა
35. რაგბის ერთ-ერთი ტერმინი
36. ერთი ჩანაფიქრით გაერთიანებული ორი რომანი
37. მუსლიმთა რელიგიური კულტის მსახური
38. შამპანიურის მარკა „... დიურსო“
39. აგამემნონისა და კლიტემნესტრას ვაჟი, რომელმაც საკუთარი დედა მოკლა
40. საყანედ გაკაფული ტყე
41. მოგზაური ... ამუნდსენი
42. ხვალის მომდევნო დღეს ანუ ...
43. საფეხურებად აგებული კოშკი ბაბილონში
44. ბურთივით დახვეული ძაფი



45. ატმოსფეროს ოპტიკური მოვლენა
46. ოპერა „კარმენის“ ავტორი
47. სუბტროპიკული ხილი
48. უძველესი ქალაქი შუამდინარეთში
49. სააღდგომო ნამცხვარი
50. ნაყოფიერების სვანური ქალღმერთი
51. ფსევდონიმი ინტერნეტში
52. მოზამბიკის დედაქალაქი
53. კადრი ფილმიდან „...“
54. დანიელ დეფოს „რობინზონ ...“
55. ბუს მსგავსი მომცრო ფრინველი
56. ხურდა ფული საქართველოში
57. დღეების რაოდენობა დეკადაში
58. გერმან. ფიზიკოსი
59. თუთიყუშის ჯიში
60. ჰოლივუდის ლეგენდა მარლონ ...
61. თავდასხმაში მოთამაშე ფეხბურთელი
62. ზრდილობიანი დასტური
63. ორშაბათი - ძველ ქართულში
64. იაპონიის უდიდესი ტბა
65. ბორის მჟავას მარილი
66. ელდარ რიაზანოვის ფილმი
67. საფეხბურთო კლუბი „...-ჯორჯია“
68. ბანქოს ერთგვარი თამაში
69. ქრისტიანთა წმინდა წიგნი
70. მწერალი ... დე მოპასანი
71. პატარა გამოქვაბული კლდეში

# მიირთვით „ზლატან-ბურგერი“

საფრანგეთის ერთ-ერთი რესტორნის მენიუში, რომელიც დახვეწილი კერძებით გამოირჩევა, ახალი საჭმელი გაჩნდა „პარი-სენ-ჟერმენის“ ფორვარდისა და შვედეთის ნაკრების კაპიტნის, ზლატან იბრაგიმოვიჩის პატივსაცემად და მას „ზლატან-ბურგერი“ დაარქვეს. ამ კულინარიული შედევრის ავტორი ამტკიცებს, რომ ახალი ბურგერი საკმაოდ ნოყიერია და ფასიც შესაბამისი აქვს. გასულ სეზონზე იბრაგიმოვიჩმა 30 გოლი გაიტანა და საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.



# აეროპორტში ლამებს „ამუშავებენ“

ჩიკაგოს ო’ჰარას საერთაშორისო აეროპორტმა სამსახურში უჩვეულო თანამშრომლები აიყვანა — იქაურობა ბალახით სრულად რომ არ დაიფაროს, ახლა აქ ლამებს, თხებს, ცხვრებსა და ვირებს „ამუშავებენ“. ო’ჰარა მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი აეროპორტია და ეკოლოგიურ პრობლემებს მეტად სერიოზულად ეკიდება, თუმცა ზოგჯერ, საკმაოდ უცნაური მეთოდებითაც. აეროპორტის ტერიტორიაზე 28 სკა დგას, სადაც მილიონამდე ფუტკარი „მოღვაწეობს“, მიღებულ თაფლს აეროპორტის მაღაზიებში ყიდიან, ახლა კი ტერიტორიის ბალახისგან გასაწმენდად რქოსნები მოიყვანეს.





# ჰოროსკოპი

## 4 ოქტომბერი

***ვერძი*** — დღეს დიდი დაძაბულობისა და აჩქარების გარეშე შეძლებთ იმ პრობლემების მოგვარებას, რაც დიდი ხანია გაწუხებთ. დასახულ მიზნამდე აუცილებლად მიაღწევთ.

***კურო*** — თქვენს ცხოვრებაში, შესაძლოა, მოვლენები გეგმების საწინააღმდეგოდ განვითარდეს. დღე კარგია ახალი კავშირების დასამყარებლად და კონტაქტების გასამყარებლად ახალ ნაცნობებთან.

***ტყუპები*** — ბედი საინტერესო ადამიანთან ნაცნობობით გაგახარებთ. ეს ურთიერთობა რომანტიკულ ელფერსაც შეიძენს და შესაძლოა, უფრო დიდი გრძნობაც გააჩინოს. თუ დაინტერესებული ხართ მოვლენების ასეთი განვითარებით, უფრო გულღია იყავით და ნუ ჩაიკეტებით საკუთარ თავში.

***კირჩხიბი*** — დილიდანვე ძალების მოზღვავებას იგრძნობთ და საქმის კეთების სურვილი გაგიჩნდებათ, თუმცა თქვენი ენერგია შეიძლება გამოუყენებელი დარჩეს, რადგან დიდწილად, ის წვრილმან საქმეებზე დაიხარჯება. დღის ბოლოს იმედგაცრუებასა და დაღლილობას იგრძნობთ.

***ლომი*** — ვითარება თქვენს ირგვლივ წარმოუდგენლად იცვლება, რაც მნიშვნელოვანი საქმეებისგან მოგწყვეტთ. არ არის გამორიცხული გაუგებრობა ინფორმაციის გაცვლისას.

***ქალწული*** — საკუთარი თავის გაგება გიჭირთ და ურთიერთსაწინააღმდეგო აზრები გიტრიალებთ. ნებისმიერი მცდელობა, ყველაფერს ადგილი მიუჩინოთ, გაღიზიანებას იწვევს. ახლობელი ადამიანის რჩევა გჭირდებათ, რომელსაც ბოლომდე ენდობით.

***სასწორი*** — თავით გადაეშვით რომანტიკულ ურთიერთობაში, ოღონდ შეეცადეთ, არსად წაბორძიკდეთ — ახალ ნაცნობებთან უფრო ფრთხილი და კრიტიკული იყავით.

***ღრიანკალი*** — თქვენს მიმართ ყურადღებას ერთბაშად რამდენიმე ადამიანი გამოიჩენს. გაგიჭირდებათ არჩევა, ვის მიანიჭოთ უპირატესობა. დიდია ალბათობა, რომ ყველას უარით გაისტუმრებთ და საკუთარ თავში ჩაიკეტებით.

***მშვილდოსანი*** — დიდ დროს მოითხოვს ფულთან დაკავშირებული საქმეები. საფუძვლიანად დაფიქრება გმართებთ — არ ღირს ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღება.

***თხის რქა*** — არსებითი პრობლემის გადასაჭრელად ბედი ორ ვარიანტს გთავაზობთ: პირველი — კონსულტაცია გაიაროთ მცოდნე ადამიანთან და გაითვალისწინოთ მისი რჩევა; მეორე ვარიანტი კი მხოლოდ საკუთარ ძალებზე, ნებისყოფასა და სიჯიუტეზე დაყრდნობაა. სწორი არჩევანის გაკეთებაში კი ინტუიცია დაგეხმარებათ.

***მერწყული*** — სამსახურში, შესაძლოა, დიდ წარმატებას მიაღწიოთ. რომანტიკული შეხვედრისა და პაემნის დაგეგმვა კი არ ღირს, რადგან პროფესიული სფერო ყურადღებისა და ენერგიის კონცენტრაციას მოითხოვს.

***თევზები*** — მატერიალური მდგომარეობა რომ გაიუმჯობესოთ, ღრუბლებში ფრენას ნუ დაიწყებთ და სიურპრიზებს ნუ დაელოდებით. თქვენი შემოსავალი მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიზრდება, თუ საკუთარ ნიჭს საიმედო გამოყენებას მოუძებნით.



# ლუდი გახდომას უწყობს ხელს

ესპანელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ თუ ადამიანი დღეში ლიტრანახევარ ქარვისფერ სითხეს სვამს, მისი არტერიული წნევა ქვეითდება, ინსულინი ნორმალიზდება და ქრება ზედმეტი წონაც... გამოკვლევაში 1240 მოხალისე მონაწილეობდა, მათ შორის ვინც ზომიერ დიეტას იცავდა და დღეში ერთ კათხა ლუდს მიირთმევდა, ან იკლებდა წონაში, ან ინარჩუნებდა სტაბილურ მაჩვენებელს და არ სუქდებოდა. ასეთ შედეგს სწავლულები ლუდში დიდი რაოდენობით ფოლიუმის მჟავის, კალციუმის, რკინის, ვიტამინების კომპლექსის არსებობას უკავშირებენ. სწავლულები აცხადებენ, რომ დადებითი ეფექტის იმედი არ უნდა გქონდეთ, თუ ქილებში ან ბოთლებში ჩამოსხმულ ლუდს მიირთმევთ.

# „ლუდსახარში" მუცელში



ტეხასელ 61 წლის მამაკაცს რახანია მუდმივი სიმთვრალე ტანჯავს, უცნაური კი ისაა, რომ იგი სპირტიან სასმელს საერთოდ არ ეკარება და ალკოჰოლს მისი ორგანიზმი გამოიმუშავებს... ეს „შინაგანი ლუდსახარშის" სინდრომია — ამერიკელის კუჭ-ნაწლავში დიდი რაოდენობით ლუდის საფუარია, რის გამოც სხეულში მოხვედრილი სითხე ალკოჰოლად გარდაიქმნება. ვიდრე ამ დიაგნოზს დაუსვამდნენ, პაციენტის მეუღლე ხშირად გამოთქვამდა უკმაყოფილებას მეუღლის ლოთობის გამო და პროფესიით ექთანი ქმარს ხშირად უტარებდა ალკოტესტს, რომელიც ზოგჯერ რეკორდულ ნიშნულს აღწევდა. მამაკაცი მედიკოსებმა საფუძვლიანად გამოიკვლიეს — 24 საათით იზოლაციაში მოაქციეს, მაგრამ ამის მიუხედავად, ორგანიზმში ალკოჰოლის შემცველობა 0,12% იყო. მოგვიანებით დაადგინეს, რომ პაციენტის კუჭი საფუარის სოკოთია ინფიცირებული, რომელიც ალკოჰოლის, ძირითადად კი, ლუდის წარმოებაში გამოიყენება.

# პარკირების გადასახადს წაბლით იხდიან



კომპანია, რომელიც ფასიანი სადგომების მფლობელია ბრიტანეთის ქალაქ ლიდსა და მანჩესტერში, მძღოლებს სთავაზობს, მანქანის დგომის ფასი ცხენის წაბლით გადაიხადონ. ცენტრალური ავტოსადგომის თანამშრომლები წაბლს 20 პენსად (32 ცენტი) იბარებდნენ. კლიენტებს ნება მისცეს, გადახდისთვის მხოლოდ 50-მდე წაბლი გამოიყენონ. თანაც, არ უნდა მიიტანონ ნაყიდი ნაყოფი (თუმცა, უცნობია, ამას როგორ ამოწმებენ სადგომის თანამშრომლები). რამდენიმე დღეში კომპანიამ 1500-ზე მეტი წაბლი მოაგროვა, რაც ლიდსის ნაკრძალს გადაეცემა, ეს უჩვეულო აქცია კი ერთი კვირის განმავლობაში გაგრძელდება.



# ჰოროსკოპი

## 5 ოქტომბერი

***ვერძი*** — მიუხედავად იმისა, რომ დრო ბევრი გაქვთ, იდეების დეფიციტს განიცდით. მოუსმინეთ ახლობლების რჩევებს, რაც ნამდვილად გამოგადგებათ. დღეს შესაძლოა, სიურპრიზიც მიიღოთ.

***კურო*** — არის საშიშროება, რომ ილუზიებსა და თქვენსავე მოგონილ ტყუილებში გაიხლართოთ, მაგრამ ამაზე არ ღირს ნერვიულობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, შექმნილი ვითარებიდან გამოსავლის პოვნა გაგიჭირდებათ.

***ტყუპები*** — ეცადეთ, ისე არ მოიქცეთ, რომ მერე ბოდიშის მოხდა მოგიწიოთ. ფინანსებთან დაკავშირებით, შესაძლოა, პრობლემები შეგექმნათ, მაგრამ საკუთარი შრომისუნარიანობის წყალობით, ამ პრობლემას ადვილად მოაგვარებთ.

***კირჩხიბი*** — წარმატებული დღეა საქმიანი შეხვედრებისა და მოლაპარაკებებისთვის — ნუ იჩქარებთ გადაწყვეტილებების მიღებას, დღის მეორე ნახევარი კი მეგობრების წრეში გაატარეთ.

***ლომი*** — არის შანსი ახალი ბიზნესის წამოწყებისა, სწორი გადაწყვეტილებების მისაღებადაც ეს დღე აირჩიეთ. საღამოს თუ გარკვეულ დროს დასვენებას დაუთმობთ და ყველა საქმეს შეეშვებით, ამით არაფერი დაშავდება.

***ქალწული*** — შესაძლებელი გახდება არა მხოლოდ გარშემომყოფი ადამიანების შეცვლა, არამედ ახალი საქმიანობის დაწყება, რომელიც ძალზე საინტერესო და პერსპექტიული აღმოჩნდება. საშუალება მოგეცემათ, უკეთ გამოავლინოთ ნიჭი.

***სასწორი*** — კარგი იქნება, თუ მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმისას მხოლოდ საკუთარ ინტუიციას დაეყრდნობით, რადგან შექმნილ ვითარებაში ძნელი იქნება მხოლოდ ლოგიკის მეშვეობით გარკვევა. საიმედო მოკავშირეებს შეიძენთ და მათი დახმარებით სასურველ შედეგსაც მიიღებთ.

***ღრიანკალი*** — კარგი განწყობა საქმეშიც შეგეტყობათ და რომანტიკულ ურთიერთობაზეც აისახება. მშვენიერი დღეა ბიზნესისა და ფინანსური ოპერაციებისთვის, თუმცა ნურც დასვენებაზე იტყვით უარს.

***მშვილდოსანი*** — მშვილდოსნების წარუმატებლობის ხანა სრულდება — ოჯახური პრობლემებიც მოგვარდება და სამსახურებრივიც. მხოლოდ მოვლენების დაჩქარებას ნუ ეცდებით, მშვიდად დაელოდეთ ცვლილებებს. დღეს ბევრი სასიამოვნო წუთი გელით — მეგობრებთან გართობა, მომხიბლავი ადამიანის ვიზიტი და მომგებიანი ფინანსური ოპერაციები.

***თხის რქა*** — გეჩვენებათ, რომ გარემოებათა საბედისწერო დამთხვევის წყალობით, სრულიად დაკარგეთ წონასწორობა და ორიენტაცია. დინებას მიჰყვებით და ამის გამო ნერვიულობთ, თუმცა შექმნილი მდგომარეობა არც ისე რთულია.

***მერწყული*** — აქცენტი ოჯახური პრობლემების მოგვარებაზე გააკეთეთ და ახლობლების მიმართ მზრუნველობა გამოიჩინეთ. იდეალური დღეა შოპინგისა და სასიყვარულო ურთიერთობებისთვის.

***თევზები*** — ნებისყოფისა და თავდაუზოგავი შრომის გარეშე, წარმატების შანსი, რომელსაც ეს დღე იძლევა, შესაძლოა, ხელიდან გაგისხლტეთ. დღის მეორე ნახევარი, სჯობს, ოჯახის წევრებთან ერთად, მყუდრო გარემოში გაატაროთ.

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 3 | | 5 | | | | |
| 4 | | 1 | | | | | 8 | |
| | | | 1 | 6 | | | 2 | 9 |
| | | | | | | 4 | 9 | 5 |
| | | | | 2 | | | | |
| 6 | 8 | 4 | | | | | | |
| 5 | 9 | | | 4 | 1 | | | |
| | 1 | | | | | 2 | | 8 |
| | | | | 7 | | 9 | | |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 7 | | 4 | 8 | | | |
| 8 | | | | | | 9 | 7 | |
| | | 3 | | | 2 | | | 1 |
| | | | | 8 | | 7 | 6 | |
| 4 | | | | 3 | | | | 9 |
| | 3 | 1 | | 9 | | | | |
| 2 | | | 5 | | | 1 | | |
| | 1 | 5 | | | | | | 7 |
| | | | 4 | 6 | | 5 | | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 8 | 7 | 6 | | 4 | | |
| 7 | | 5 | | | | | 9 | |
| | | | 9 | | | | | 5 |
| 9 | | | | 2 | 1 | | | 3 |
| | | | 6 | | 3 | | | |
| 2 | | | 5 | 9 | | | | 1 |
| 5 | | | | | 4 | | | |
| | 1 | | | | | 5 | | 7 |
| | | 2 | | 5 | 9 | 3 | | |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 8 | | 9 | 6 | | | | 1 |
| | | | | | | | | 4 |
| 7 | | 6 | | | 8 | | | 3 |
| 4 | | | | | | | 1 | |
| 6 | | | 1 | 4 | 2 | | | 8 |
| | 1 | | | | | | | 9 |
| 1 | | | 6 | | | 5 | | 2 |
| 8 | | | | | | | | |
| 2 | | | | 7 | 5 | | 8 | |



# ჰოროსკოპი
## 6 ოქტომბერი

**ვერძი** — დღეს უნდა მოხდეს მოვლენა, რომელსაც დიდი ხანია ელოდებით. შესაძლოა, ამასთან დაკავშირებით გეგმების გადახედვა დაგჭირდეთ, მაგრამ შედეგით ისეთი კმაყოფილი იქნებით, რომ ამ მცირე დისკომფორტს ყურადღებას არც კი მიაქცევთ.

**კურო** — დღე მოულოდნელობებით იქნება აღსავსე. მოთმინებით დააკვირდით მოვლენების განვითარებას და მხოლოდ ამის შემდეგთ გადადგით რადიკალური ნაბიჯები.

**ტყუპები** — შეეცადეთ, ყველაფერს ერთდროულად არ მოედოთ — სჯობს, მთელი ძალისხმევა ერთ, კონკრეტულ საქმეს მოახმაროთ. საღამოს დიდია რომანტიკული შეხვედრის ალბათობა.

**კირჩხიბი** — საკუთარ სიმართლეში დარწმუნებულმა, შესაძლოა. რეკორდული რაოდენობის სისულელე ჩაიდინოთ. ყური დაუგდეთ გარშემომყოფების რჩევებს — ისინი არც ისე გამოუსადეგარი აღმოჩნდება, როგორც გგონიათ.

**ლომი** — თქვენი აკურატულობა დაგეხმარებათ, თავიდან აიცილოთ მოსალოდნელი კონფლიქტი. გახსოვდეთ, რომ დიპლომატია აუცილებელია ნებისმიერ სფეროში — ცხელ გულზე არანაირი გადაწყვეტილება არ მიიღოთ.

**ქალწული** — გარშემომყოფების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებით. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი არასწორად გადადგმული ნაბიჯით, შესაძლოა, კრიტიკის საგანი გახდეთ, ამიტომ უმჯობესი იქნებ,ა ყოველი სიტყვა და მოქმედება მკაცრად გააკონტროლოთ.

**სასწორი** — დიდია ალბათობა, რომ დაძაბულ ვითარებაში აღმოჩნდებით — თუ საკითხის მშვიდობიანად მოგვარება ვერ შეძელით, რადგან თქვენი მოსმენა არ სურთ, მაშინ რადიკალური ნაბიჯების გადადგმა მოგიწევთ. თავს უკანდახევის უფლება არ მისცეთ.

**ღრიანკალი** — ვარსკვლავები გირჩევენ, ტემპი შეანელოთ და ამოისუნთქოთ. ეს ცოტა გონებას გაგინათებთ და ისიც გაგახსენდებათ, რისთვის იღვწით ასე გამალებით.

**მშვილდოსანი** — მშვილდოსნებს შეუძლიათ, დილიდან საღამომდე ინებივრონ და ყოველი წამით დატკბნენ. განსაკუთრებით კარგი კი საღამო იქნება, რომელსაც მარტოობაში ნამდვილად არ გაატარებთ.

**თხის რქა** — რეალური შანსი გაქვთ, გუშინდელი მტრები, მინიმუმ, მოკავშირეებად აქციოთ. მხოლოდ ნუ იფიქრებთ, რომ ამის რეალიზება ადვილი იქნება.

**მერწყული** — თუ გადაწყვეტთ, საქმეში თქვენი იუმორის გრძნობა ჩართოთ, ყველა არსებულ ბარიერს უპრობლემოდ გადალახავთ. თქვენი მიზანმიმართულობა დაგეხმარებათ, დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანოთ.

**თევზები** — მებისმიერი წამოწყება წარმატებას გპირდებათ, ოღონდ ნუ იქნებით ზედმეტად ამბიციური. ყოველი ნაბიჯი გააანალიზეთ და ვითარების ადეკვატურად იმოქმედეთ.

# შავი ჩაი კარიესის წინააღმდეგ



ჩაი, განსაკუთრებით კი შავი, ძალიან სასარგებლოა კბილებისა და ღრძილებისთვის, — გვარწმუნებენ ბრიტანელი სტომატოლოგები. სპეციალისტები ამტკიცებენ — მიუხედავად იმისა, რომ კბილებმა, შესაძლოა, ბუნებრივი სითეთრე დაკარგოს ჩაის ხშირი მოხმარების გამო, მათი მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იქნება. სწავლულების განცხადებით, ფინჯანი სასმელის მიღების შემდეგ, პირის ღრუში ორი სახის ბაქტერიის — Streptococcus mutans და Lactobacillus კონცენტრაცია ქვეითდება, რომელიც კარიესსა და ღრძილების ანთებას იწვევს. თუ დღეში სამ-ოთხჯერ მიირთმევთ შავ ჩაის, ამ საშიში ბაქტერიების კონცენტრაცია დაბალი დარჩება და ის მნიშვნელოვან ზიანს ვერ მიაყენებს კბილებსა და ღრძილებს. მწვანე ჩაის უფრო ნაკლებად აქვს ანტიბაქტერიული თვისებები, თუმცა არტერიულ წნევას არეგულირებს და წონის დაკლებაში ეხმარება ადამიანს. მაქსიმალური ეფექტის მისაღებად, სპეციალისტები გვირჩევენ, ორივე სახის ჩაი მივირთვათ მორიგეობით.

# მანქანას დაკრძალვის ცერემონია გადაუხადა




ჩინელმა მამაკაცმა „პორშეს“ მარკის ავტომობილს დაკრძალვის ცერემონია გადაუხადა, მიზეზი კი დილერის მიერ კომპენსაციის გადახდაზე უარი იყო. ძალიან ბედნიერი ვიყავი, როდესაც ეს „პორშე“ შევიძინე, მაგრამ მეუღლესთან ერთად მგზავრობისას მუხრუჭმა მიმტყუნა. მექანიკოსმა, რომელმაც მოგვიანებით მანქანა შეამოწმა, დაადგინა, რომ ავარიის მიზეზი არასწორად დამონტაჟებული ძრავა იყო, მაგრამ სერვისცენტრმა კომპენსაციის გადახდაზე უარი თქვა. ამიტომ გადავწყვიტე, საჩვენებელი დაკრძალვა მომეწყო და თან ავტომფლობელებიც გამეფრთხილებინა, — ამბობს ჩინელი მამაკაცი და დასძენს, რომ ვიდრე კომპენსაციას არ მიიღებს, დამტვრეულ ავტომობილს დილერი კომპანიის პარკთან დატოვებს.



# საცხოვრებლად გამოქვაბულში გადაბარგდნენ

ორი ფრანგი ქალბატონი, რომელთაც ელექტრომაგნიტური გამოსხივების მიმართ აქვთ ალერგია, საცხოვრებლად გამოქვაბულში გადავიდნენ. ანა კაუტაინს და ბერნადეტ ტოულომონდს თავისა და სახსრების გაუსაძლისი ტკივილი აწუხებდათ. ელექტრომაგნიტურმა ტალღებმა ცხოვრება მომიწამლეს და პირველად მხოლოდ აქ, გამოქვაბულში შევძელი მშვიდად ძილი. ბედნიერი ვარ, თავს შესანიშნავად ვგრძნობ, — ამბობს 52 წლის ბერნადეტი. ანა კაუტაინი ნიცას უნივერსიტეტში მუშაობდა, მას ჯანმრთელობის პრობლემები მას შემდეგ დაეწყო, რაც სამსახურში უსადენო ინტერნეტი ამოქმედდა. მთელი ღამე ავტომანქანაში მეძინა, მაგრამ თავს უსაფრთხოდ ვერც იქ ვგრძნობდი, — ამბობს ანა. ამჟამად, ფრანგი ქალბატონები გამოქვაბულში ელექტრომოწყობილობების გარეშე ცხოვრობენ — „ახალ სახლში“ მხოლოდ საწოლები, მაგიდა და სანთელი აქვთ, ერთადერთი კი, რაც „ძველი სამყაროდან“ ენატრებათ, ფანჯრიდან შემომავალი მზის შუქია.




PARTNERS

Ministry of Finance of Georgia | Ministry of Energy of Georgia | Georgian Revenue Service | Regional Development & Infrastructure of Georgia | PARTNERSHIP Fund | Georgian Energy Development Fund | Georgian Chamber of Commerce & Industry

MEDIA-PARTNERS

თბილისელები | СВОБОДНАЯ ГРУЗИЯ | The Georgian Times | BUSINESS WEEK | LEADER Today | PRIME Time | Commersant.ge | ვერსია

Georgian Times | www.geotimes.ge

Please Contact: marketing@geotimes.ge






ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს — უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო — უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

**ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ**


## შენდემა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**


**Appraisal.llc**

შპს „აპრაისალი“ გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com



# ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699



დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.